“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№5 (221)
მაისი
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეცხრამეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

1918 წლის ბათუმის საზავო კონფერენციის სელშეკრულება და სამცხე-ჯავახეთის საკითხი

თინა იველაშვილი

ვიდრე, უშუალოდ, ბათუმის კონფერენციას შევეხებოდეთ, ცოტაოდენი ექსკურსი უნდა გავაკეთოთ იმ დროისათვის შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ.

1917 წლის 5 დეკემბერს რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ერზინჯანის დროებითი საზავო ხელშეკრულება საქართველოსათვის საზიანო აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ ამ ზავით მხოლოდ გერმანიისა და თურქეთის მოთხოვნები იქნა დაკმაყოფილებული. მიუხედავად ამისა თურქეთის მხარე მას არ იცავდა.

საზავო პირობების თურქეთის მხრიდან დარღვევის გამო, ამიერკავკასიის კომისარიატმა თურქეთის სარდლობას აცნობა, რომ იგი მზად იყო ახალი საზავო ხელშეკრულების დასადებად. მოლაპარაკების ადგილად, როგორც ნეიტრალური ზონა, ქალაქი ტრაპიზონი იქნა შერჩეული, სადაც ჯერ კიდევ რუსეთის არმიის ნაწილები იდგნენ. კონფერენციის დაწყებამდე საბჭოთა რუსეთმა, 1918 წლის მარტში, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების თანახმად, ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების ადგილზე, თვითგამორკვევის უფლების გათვალისწინებით, თურქეთისათვის გადაცემას მოაწერა ხელი. ამიერკავკასიის სეიმმა, რა თქმა უნდა, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობები არ მიიღო და საომარი მოქმედება განაახლა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ოსმალეთმა ბათუმი, არტაანი, ოზურგეთი დაიკავა და საფრთხე შეექმნა სამცხე-ჯავახეთს.

1918 წლის 14 მარტს გაიხსნა ტრაპიზონის კონფერენცია. ქართული დელეგაცია არ სცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე საქართველოს შესახებ მიღებულ დადგენილებას, რომლის ძალითაც ბათუმის, არტაანის და ყარსის ოკრუგები თურქეთს უნდა გადასცემოდა. ამ მოთხოვნებს ამიერკავკასიის მხარემ შემდეგი კონტრმოთხოვნები დაუპირისპირდა:

1) ამიერკავკასია არ იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი მხარე;

2) ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. იგი რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა.

ქართული დელეგაციის ძირითადი მოთხოვნები იყო:

1) ამიერკავკასიის სეიმი თავს უფლებამოსილად თვლიდა, თურქეთთან, რუსეთისაგან დამოუკიდებლად, თვითონ დაედო ზავი;

2) სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა ეყრდნობოდეს რუსეთ-თურქეთის 1914 წლის ომის დაწყებამდე არსებული საზღვრების აღდგენას;

3) სეიმს თავის ამოცანად მიაჩნდა თურქეთთან საბოლოო ზავი დაედო;

4) ამიერკავკასიის დელეგაციას უფლება უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთ თურქეთის სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში ანატოლიაში თურქეთს სომხეთის ავტონომიის შექმნისთვის ეზრუნა.



მხარეები ვერ შეთანხმდნენ და ტრაპიზონის კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა.

ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია მზად იყო თურქეთისთვის დაეთმო მთლიანად ოლთისის ოლქი, არტაანის ოლქის სამხრეთი ნაწილი, ყარსის ოლქის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და კალიზმანის დასავლეთი ნაწილი, მაგრამ გაგრძელებულიყო განხილვა ანატოლიაში სომეხთა ავტონომიის შექმნის საკითხი, რამაც, ფაქტიურად, კონფერენციის ჩაშლა გამოიწვია.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელ კონფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადება ოტომანთა იმპერიამ ცნო და სამშვიდობო მოლაპარაკების გაგრძელების სურვილი გამოთქვა, მოლაპარაკების ადგილად კი ბათუმი შეირჩა და 1918 წლის 4 მაისს კონფერენციამ მუშაობა დაიწყო.

ბათუმის კონფერენციაზე თურქებმა თორმეტ მუხლიანი პროექტი სამი დამატებითი პუნქტით წარადგინეს. ამ პროექტით 1829 წელს შემოერთებული ახალციხე და ახალქალაქი, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრები, ყარსი-ანდრიანოპოლის, ჯულფის რკინიგზა, სპარსეთის საზღვრამდე, თურქების ხელში უნდა გადასულიყო.

ვინაიდან 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის კონფედერაცია დაიშალა და საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოცხადდა, ამიტომ ბათუმის კონფერენციაზე ახლად შექმნილი რესპუბლიკების დელეგაციებმა თურქეთთან მოლაპარაკება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გააგრძელეს.

1918 წლის 4 ივნისს დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოსა და თურქეთის იმპერიის მთავრობას შორის ხელმოწერილი იქნა **„ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება.“** მისი პირობები შემუშავდა მაშინ, როცა ამიერკავკასიის გარკვეული ნაწილი თურქეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ამ ხელშეკრულებით ბათუმისა და ყარსის ოლქები, ასევე ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სულ 11 381 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, 250 ათასი მცხოვრებით, თურქეთს გადაეცა. ეს იყო საქართველოს ერთ-ერთი მდიდარი და მნიშვნელოვანი მხარე, რომ არაფერი ვთქვათ ბათუმის საქვეყნოდ ცნობილ მნიშვნელობაზე და აჭარის იშვიათ სუბტროპიკულ ზოლზე. თურქეთის ხელში გადადიოდა საქართველოს პურის ბეღელი – ჯავახეთის ზეგანი და ახალციხის – ბუნებითა და ხილით განთქმული მხარე. საქართველო კარგავდა არა მარტო 1878 წელს შემოერთებულ ისტორიულ მიწა-წყალს, არამედ, 1829 წელს დაბრუნებულ სამცხე-ჯავახეთსაც, რადგან მთელი სამცხე-ჯავახეთი, აწყურისა და აბასთუმნის ვიწრო ზოლის გამოკლებით, ოსმალეთის ხელში გადადიოდა. ეს ხელშეკრულება ამ რეგიონის მოსახლეობისთვის საკუთარი ე. წ. „ეროვნული მთავრობის“ მხრიდან ზურგში მახვილის ჩაცემის ტოლფასი იყო.

ამავე დღეს გაფორმებული მეორე ხელშეკრულებით:

1. საქართველო ვალდებული იყო სასწრაფოდ მოეხდინა იმ მოქალაქეების თავისი ტერიტორიიდან გაძევება, რომლებიც თურქეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ;

2. ოსმალეთს უფლება ეძლეოდა საქართველოს მთავარ სარკინიგზო მაგისტრალზე კონტროლი დაწესებინა და თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა.

გარდა ამისა, ოტომანთა იმპერია თანახმა იყო, თურქეთის ტერიტორიაზე, სომხეთის ავტონომიის ნაცვლად, ამიერკავკასიაში შექმნილიყო სომხეთის რესპუბლიკა და დაჟინებით მოითხოვდა მის დედაქალაქად ერევანი გამოცხადებულიყო, რის წინააღმდეგაც აზერბაიჯანი გამოდიოდა. ბათუმის კონფერენციაზე არ იქნა გათვალისწინებული აზერბაიჯანის მხარის მოთხოვნები და ერევანი, როგორც დედაქალაქი, სომხეთს გადაეცა.

მხარეში თურქული ადმინისტრაციული მმართველობა დამყარდა. სამცხე-ჯავახეთში ოფიციალურ ენად თურქული ენა გამოცხადდა. ამის შესაბამისად, ქუჩებისა და წარმოება-

დასასრული მე-7 გვ. ▶

როგორ ამტკივდი?!

მარიზა ჯიქია



როგორ ამტკივდი, ჩემო სამშობლოვ,
როცა შენს მიწას ფეხი დავადგი...
ისტორიული ტაო გაცოცხლდა!..
რა ვქნა, თურქეთი მას ვერ დავარქვი.

ახლა ერუშეთს გასცქერის თვალი,
და მეჩვენება ცას ხელს შევახებ...
ქართულო მიწავ, ახლა ვისი ხარ?!..
როგორ მინდოდა ჩემად მენახე!

ბედუკულმართი ისტორიაა...
ურის ციხეს ვჭვრეტ მეჩეთის ფონით,
ეს არტაანიც ხსოვნის ძაფია, –
ხანაკის ციხე გამოჩნდა შორით...

კოროხის მთები დამცქერის რისხვად,
კოლა-არტაანს თვალი შევავლე,
შავშეთის ხედი სულის სალბია...
აქ ისტორიის კარი შევაღე...

დგას ხანძთა ერის მესაიდუმლედ,
მადლად რომ მოსდევს ხანძთელის სული,
და ხუროთმოძღვარ ამონას მიერ
„სიბრძნით სრულიად გაშენებული“.

ხახულის წყალი ნანას უგალობს
ხახულის ტაძრის გუმბათს, სამრეკლოს,
ახლა მეჩეთად გადაქცეული,
ცდილობს თურქეთის ყოფა არეკლოს...

ერთ დროს მწიგნობართ კერა, აკვანი,
სად მთაწმინდელი განათლებულა,
ოთხ ასეულ წელს მოითვლის ხანი,
რაც აქ სანთელი არ დანთებულა!..

ხეთა შორის ვჭვრეტ იშხანის გუმბათს,
ულამაზესი, ფერად ზოლებით,
ამაყი მზერით ოქროსფერ სხეულს
რომ ათამაშებს შლილი ზმორებით.

ჭმუნვით მიყურებს ოთხთას მშვენება,
უნაკლოდ მოაქვს წლების ქარიზმა,
დიდება უფალს, მადლობა უფალს,
აქ რომ ქართული ლოცვა გაისმა!..

გულს მიკლავს ცაში აჭრილი ხმები...
ტკივილის ბურთი ყელში გამჩრია...
ახლა ნანგრევებს დასცქერის თვალი,
ქვის სიმფონია გულზე მაჩნია...

თვალს მაინც ხიბლავს მრგვალი ფორმები,
დიდებულება უხვად აჩნია...
და ამებანა ბანას აჩრდილიც, –
ხსოვნა, სიმდიდრე, რაც გამაჩნია.

პროზა

ამირან ჯმუხაძე

დიდი ხნის მეგობრები



თბილისში ძალიან ცხელა. აგვისტო იწურება. გიზომ, რომელიც რვასართულიანი სახლის სადარბაზოსთან დგას და სიგარეტს ეწევა, მეზობელი როსტომი შენიშნა, იგი ნელი ნაბიჯით მოდიოდა. როცა სადარბაზოს მოუახლოვდა, თავი ასწია, გიზოს მიესალმა. გიზომ ხელი ჩამოართვა, ერთმანეთი მოიკითხეს.

როსტომი და გიზო დიდი ხნის მეზობლები არიან, ორმოც წელზე მეტია რაც ერთმანეთს იცნობენ, როცა ამ სახლში გადმოვიდნენ, ორივეს ახალი მოყვანილი ჰყავდა ცოლი, გაცნობის შემდეგ, ჭირია თუ ლხინი, სულ ერთად არიან, ერთმანეთის გარეშე არაფერს წყვეტენ...

როსტომი სამოც წელს გადაცილებული კაცია, მელოტი თავი, წაბლისფერი თვალები და მოგრძო სახე აქვს, ამ გაგანია ზაფხულში, როდესაც ადამიანები გარეთ გასვლას ერიდებიან, როსტომი თითქმის ყოველ დილით სათევზაოდ დადის, ეს მისი მარტო ჰობი კი არა, არამედ, ის თავის გაჭირვებულ ოჯახს ეხმარება, დაიჭერს თუ არა რამდენიმე კილო თევზს, მაშინვე თავის კლიენტებს დაურეკავს, რომლებსაც რესტორნებთან აქვთ კავშირი, შეხვდება და იმ დღესვე ახდენს თევზის რეალიზაციას. ასე ვთქვათ, მას თავისი პატარა ბიზნესი აქვს, არადა, არც გაემტყუნება, როგორც თვითონ იტყვის ხოლმე, „ზედმეტი ფული არავის აწყენსო". გიზოც სამოც წელს გადაცილებულია, მასაც როსტომივით მელოტი თავი და, თანაც, წაბლისფერი თვალები აქვს, ოღონდ, ის როსტომზე ცოტათი მაღალი და უფრო ბრგე ტანისაა, თანაც, მისგან განსხვავებით, ნადირობა და თევზაობა საერთოდ არ აინტერესებს, აინტერესებს კი არა, მონადირეებს და მეთევზეებს პატივს არ სცემს და იძახის: – ადამიანმა ცოცხალი არსება როგორ უნდა მოკლასო, ასეთი ხალხი უგულო და სადისტ ადამიანებად მიმაჩნიაო...

– სათევზაოდ დღესაც იყავი? – შეეკითხა გიზო.

– კი, გიზოს ვენაცვალე, მაგრამ, რა გინდა, ცარიელი მოვედი სახლში, თითქოს გათვალული ვიყავი, ანკესს თევზი არ ეკარებოდა, ჩემს ახლოს ვინც იჯდა, ყველამ რაღაც მოახერხა, მე კი ვერაფერი გავაწყვე. მოკლედ, ჩემო კარგო, ყველაფერში ბედი უნდა გქონდეს კაცს... – წარმოთქვა როსტომმა და მარჯვენა ხელით სათვალე გაისწორა.

– მართალს ამბობ, კაცო?! – გაოცდა გიზო.

– ტყუილი რაში მჭირდება, აბა, წარმოიდგინე, ამ სიცხეში, მტკვრის პირას რომ ზიხარ და ვერაფერს ახერხებ, როგორი მოსათმენია. ამდენი იწვალო და სახლში ხელცარიელი დაბრუნდე, რა ძნელია, შენც კარგად მოგეხსენება. რა ცხოვრების გზა გვაქვს განვლილი, რამდენი გაჭირვებისთვის გაგვიძლია, მაგრამ ასეთ უბედურ დღეში ჯერ არ ვყოფილვარ, ქვეყანაში თითქოს სიწყნარეა, წარსულიდან განსხვავებით, ქუჩაში ერთმანეთს არავინ კლავს, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ყველაფრისადმი ინტერესი დავკარგე, გაგიკვირდება, მაგრამ, ქორწილში ვარ თუ დაბადების დღეზე, იქაც მოწყენილი ვარ, ყველაფერი ცხოვრებისეული, მეორეხარისხოვანი გახდა ჩემთვის...

– ეჰ, რას იზამ, – ამოიოხრა გიზომ, – მეც, შენი არ იყოს, დღევანდელი ცხოვრების ვერაფერი გამიგია, შენ მაინც რაღაცას ჩალიჩობ, მე კი რა ვქნა, რა გზას დავადგე, მეც ვმუშაობ, ჩემი მეუღლეც, მაგრამ, რა გინდა, მაინც არაფერი გამოგვდის, არადა, ვგიჟდები, კაცო, სულ იმას ვფიქრობ, რანაირად ახერხებს ეს ხალხი ცხოვრებას, ალბათ, ჩვენ, ქართველები, ილუზიონისტები ვართ, ფული არ გვაქვს და მაინც ვახერხებთ რაღაცას, ქალაქში გახვალ და გაოცდები, ამდენი ხალხი ძვირადღირებული მანქანებით დადის, ჩვენ კი, რა გვემართება, ვშრომობთ, ვწვალობთ, ვჯახირობთ და, რა, მერე, თვიდან თვემდე ძლივს გაგვაქვს თავი! მოკლედ, ჩემო ძმაო, ცხოვრება აღარ ღირს, შენთან დასამალი რა მაქვს და, გეტყვი კიდეც, კარგა ხანია გაღვიძება აღარ მახარებს, როდესაც თვალს გავახელ და, რომ წარმოვიდგენ, რამდენი პრობლემა მაქვს, ცუდად ვხდები, გული ამიჩქარდება ხოლმე, საწოლთან, იქვე, პატარა მაგიდაზე „ვალიდოლი" მიდევს, მაშინვე ენის ძირში ჩავიდებ და ამით ცოტათი ვმშვიდდები, – ასეთი ცხოვრებისთვის ვიკლავდით თავს?!

– რას ვიზამთ, – დაუყვავა როსტომმა, – ამ ცხოვრებაში ფული ყოფილა ყველაფერი, არადა, ის დალოცვილი „კომუნისტები" რომ გვასწავლიდნენ, ფული და სიმდიდრე არაფერს ნიშნავსო, მთავარი ადამიანობაა... ა, ბატონო, ხომ აღმოჩნდა ყველაფერი ტყუილი, მაგრამ მე ისე გავიზარდე, ისე აღმზარდეს მშობლებმა, რომ მაშინაც და ახლაც მჯერა, რომ მთავარი მაინც პატიოსნებაა და სწორედ ესაა ჩემი გაჭირვების მიზეზი! ამიტომაცაა, რომ დღევანდელ ცხოვრებას ვერაფერი გავუგე...

– მართალი ხარ, როსტომ, – საუბარი გააგრძელა გიზომ და კიდევ უფრო ღრმად ამოიოხრა, სიცხისაგან შეწუხებულმა შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლილი სახე შეიმშრალა.

– ჰო, და, მაგას გეუბნები, ჩემო გიზო, რა მრჯის, რომ ამ ხნის კაცი ფულის საშოვნელად სათევზაოდ არ დავდიოდე, ჩვენ უკვე შვილიშვილების პატრონებს, ეს არ გვეკადრება, სულაც სახლში უნდა ვიჯდეთ და სიცოცხლით უნდა ვტკბებოდეთ!

– კარგი რა, რაზე ლაპარაკობ, – გაბრაზებული ხმით წარმოსთქვა გიზომ – რა ადამიანურ ცხოვრებაზეა ლაპარაკი. ადრე, ჩემო ბატონო, საქმე აწყობილი გვქონდა, პროდუქტები იაფი იყო, გადასახადები – მიზერული, სწავლა-განათლება – უფასო, ერთმანეთი გვიყვარდა, ერთმანეთს პატივს ვცემდით, კაცი კაცობდა და ქალი ქალობდა.....

– წარსულზე ნუღარ ლაპარაკობ – სწრაფად უპასუხა როსტომმა, თანაც, უკვე გაბრაზებულმა, ხმასაც აუწია, რაც იყო, იყო, ძველ დროს ვეღარ დავიბრუნებთ, ეტყობა, რაც გვიწერია, იმას ვეღარ ავცდებით, მაგრამ, ამ ბოლო დროს, სულ იმაზე ვფიქრობ, განა ჩვენ სწორედ ვიცხოვრეთ?! მხოლოდ ჭამა-სმაზე ფიქრი და უზრუნველი ცხოვრება ნიშნავს სწორი გზით სიარულს?! მე მგონია, ღმერთის წინაშე არ ვიყავით მართლები, როცა სულიერი ცხოვრებისთვის არ გვეცალა, ამიტომაც დავისაჯეთ ასე!

– შეიძლება, ალბათ, ასეა კიდეც – დაეთანხმა როსტომი და თავი ჩაღუნა.

ერთხანს ორივე გაყუჩდა. მზე უმოწყალოდ აჭერდა, სადარბაზოში შევიდნენ, ცხვირსახოცებიც მოიმარჯვეს და გაოფლილი სახე შეიმშრალეს.

დუმილი გიზომ დაარღვია: – ამ ბოლო დროს სულ უარყოფითი ემოციები მახრჩობს, ყველაფერი შავ ფერებში მეჩვენება, არაფრის იმედი აღარ მაქვს...

– ამას, ჩემო კარგო მეზობელო, მედიცინის ენით, „დეპრესია" ჰქვია, – წარმოსთქვა როსტომმა და ცაში აიხედა, – ღრუბლის ნაგლეჯიც კი არ ჩანდა, აღარც ნიავი ჰქროდა, სადარბაზოში შმორის სუნი იდგა.

– დეპრესიაა თუ მელანქოლია, ამდენი არ მესმის, მაგრამ, ჩვენი საქმე რომ ვერ არის კარგად, ამას ნათლად ვხედავ – განაგრძო გიზომ და ღრმად ამოიოხრა, შემდეგ კვლავ როსტომს შეხედა, მხარზე ხელი დაადო და შეეკითხა: – ხვალაც აპირებ სათევზაოდ წასვლას?

– აბა, რა ვქნა, მეტი რა გზა მაქვს, იცი, რა მიკვირს, ჩემო გიზო, – შენც ხომ იცი, როგორი კაცი ვარ. არადა, რას გიხსნი, თითქმის ნახევარი ცხოვრებაა ერთად მოვდივართ, კარგი მეზობლები ვართ, როგორც ჩვენში იტყვიან, ჭიანჭველისთვისაც კი არ დამიდგამს ფეხი, წარსულში არაფერი ცუდი არ ჩამიდენია, არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია, შურსა და ბოროტებას გულშიც რომ არ გავივლებ, ეს შენც კარგად მოგეხსენება, აი, შენ რომ თქვი, ჩვენ არასწორად გვიცხოვრიაო, – ძალიან ბევრი მიფიქრია ამაზე და იმ აზრამდე მივედი, – იმის ბრალი ხომ არ არის ყველაფერი, ღმერთი რომ არ გვწამს, ამიტომ ხომ არ ვისჯებით-მეთქი, მაგრამ, რაშია საქმე, იცი? მე რელიგიის მიმართ ჩემებური შეხედულება მაქვს, მთავარია გულით გწამდეს და ამდენი რიტუალები სულაც არ არის საჭირო...

– აბა, რა გითხრა, როსტომ, – შეაწყვეტინა ლაპარაკი გიზომ, – ნაწილობრივ მეც გეთანხმები, ამ საკითხზე ფიქრით ტვინი მიჭყლეტია, თუ დაკვირვებიხარ, ადამიანები დღე და ღამე სულ ეკლესიაში დადიან, მარხულობენ, ზიარებასაც იღებენ, შემდეგ გამოდიან ტაძრიდან და ათას სისაძაგლეს ჩადიან, ამას კი ჯობია, პატიოსნად იცხოვრო და სიკეთე თესო...

– მართალი ხარ, გიზო, მაგრამ, ეტყობა, ჩვენ სიღრმისეულად არ გვესმის, ისე კი, შინაგანად ვგრძნობ, რომ ყველაფრის საწყისი ღმერთია, ის არის ყველაფრის გამგებელი და მამოძრავებელი, მის გარეშე სამყაროში და დედამიწაზე არაფერი ხდება! – დაამატა როსტომმა და მეგობარს მიაჩერდა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

სიცხემ უფრო დააჭირა.

დუმილი როსტომმა დაარღვია – გახსოვს, გუშინ რომ შემხვდი და მითხარი, – სამი დღე რატომ არ ჩანდიო? მაშინ ვერაფერი გიპასუხე, ძალიან მეჩქარებოდა, ამისათვის ბოდიშს გიხდი, მაგრამ ახლა კი ყველაფერს მოგიყვები.

– ისე, სიმართლე გითხრა, ძალიან გაოცებული ვიყავი, შეგატყვე, რაღაც ვერ იყავი ხასიათზე, მაგრამ ვერაფერი გითხარი, ვერ შემოგბედე – უპასუხა გიზომ და თავი ჩაღუნდა.

– ჰოდა, ჩემო გიზო, სამი დღის წინ ოჯახში მართლაც ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, შენც კარგად მოგეხსენება, აგვისტო იწურება, ჩემი შვილიშვილები კი სასკოლოდ ემზადებიან, წიგნები გვქონდა საყიდელი, მაგრამ ფული საერთოდ არ გვქონდა, ვისთან არ მივედით, მაგრამ ყველამ უარი გვითხრა, ვინ რა მოიმიზეზა და ვინ რა, ხომ იცი, რა დროა, რომც ჰქონდეთ, მაინც არ მოგცემენ, ყველა თავის თავზე ფიქრობს, შენთვისაც მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე, ვიცი შენი მდგომარეობა და ამიტომაც გადავწყვიტე – გავრისკავ, კვლავ სათევზაოდ წავალ და ეგება ბედმა გამიღიმოს, ის დალოცვილი თევზი ძალიან ძვირი ღირს, გავყიდი და გვეშველება-მეთქი. ნერვიულობის ნიადაგზე წნევამ ამიწია, ამის გამო წამლები ჩავაწყე ჩანთაში, ანკესი მოვიმარჯვე და გზას გავუყევი... ცოტა ხანში მტკვრის პირას მოვკალათდი, ანკესი გავმართე, შემდეგ ტივტივას დავუწყე გულმოდგინეთ ყურება და, უცებ, თავზე „პატრულის" თანამშრომლები დამადგნენ და მკაცრად გამომიცხადეს, – სასწრაფოდ დამეტოვებინა ტერიტორია. როცა მიზეზი ვკითხე, – რაშია საქმე, რატომ მაიძულებთ აქედან წავიდეთ-მეთქი, მიპასუხეს – გუშინ ამ ადგილას ორი კაცი დაიღუპა, გაჭირვებას ვეღარ გაუძლეს იმ უბედურებმა, ორივე ხიდიდან გადახტა და თავი მოიკლეს. ამიტომ, ახლა, აქ, მყვინთავები უნდა მოვიდნენ და ცხედრები მოძებნონო...

– რაღა ეს ადგილი აირჩიეს თავის მოსაკლავად? – გაოცებულმა ვიკითხე. პატრულმა მხრები აიჩეჩა და გაკვირვებით შემომხედა. მე კი ჩემი დამემართა, მაშინვე ფეხზე წამოვხტი, თავში ხელი შემოვირტყი და ჩავილაპარაკე – რაღა გუშინ მოუნდათ იმ შობელძაღლებს თავის მოკვლა, ეს უნდოდა ჩემს გაჭირვებას, ახლა-მეთქი? დავავლე ხელი ანკესს და დაბოღმილი წამოვედი სახლში, შემდეგ ოთახში ჩავიკეტე და კარგა ხანი გარეთ აღარ გამოვსულვარ, ამიტომაც არ ვჩანდი ის სამი დღე. ბოლოს, როგორც იქნა, ჩემმა ბიძაშვილმა გვასესხა ფული და ამით გადავრჩით!

– ამ სიტყვების გამგონე, გიზომ, წამიერად შეხედა როსტომს და გაოცებულმა გვერდზე გაიხედა, შემდეგ შემოტრიალდა და შემკრთალი სახის გამომეტყველებით კვლავ როსტომს მიაშტერდა, – უნდოდა ეპასუხა, მაგრამ გადაიფიქრა, აღარ იცოდა რა ექნა, სულ დაიბნა კაცი, ძალიანაც უნდოდა საუბრის გაგრძელება, მაგრამ საშინელი სიცარიელე იგრძნო, ამიტომ მასთან საუბარს დუმილი ამჯობინა.

ქალაქში უფრო ჩამოცხა...

ნუგზარ ზარიძე

ჩემს სამშობლოს

– ნაადრევად ნუ სტირი, –
სულმა გულსა ურჩია,
ავდარს დარი მოჰყვება
ცა ჯერ კიდევ ლურჯია.
ჯერ ქარი არ ჩამდგარა,
წყარო ისევ ჩუხჩუხებს,
მუხა ჯერ არ გამხმარა,
ტყე შრიალით ჩურჩულებს.
ჯერ ირემი მთის წვერზე
მზის სხივს ეთამაშება,
მიმინო კვლავ ფრთებსა შლის,
ფრენა არ ეზარება.
რაში ტორს სცემს ჭალაში,–
მუმლი არ დაეხვიოს,
ივრის წყალი ჩქარობს, რომ
მტკვრის წყალს გადაეხვიოს.
მთვარე ფხიზლობს, არ სძინავს,
ღამე თეთრად ათიოს,
იქნებ შავი ღრუბლები
უკან, უკან დასწიოს.
განთიადი ხმაურობს,
ღამეს გადაეღობა,
ხედავს, უკვე ნათდება,
ნუღარ სტირი, გეყოფა!

ყაყაჩო

მკერდი გადიხსნა ყაყაჩომ,
ტკბილად მოხუჭა თვალები,
წითლად დაკოცნა მინდორი,
შერცხვა, რომ ვუთვალთვალებდი.
ჩურჩულით ჰკითხა წყაროსა,
– სიო ხომ არსად გინახავს?
მითხრეს: – მერცხლებთან თამაშობს,
ისე კი, არ დამინახავს.
არა, ის ახლა არ ტირის,
ღრუბელი დაბლა დაეშვა,
მე მყავდა ჩახუტებული
მერე ხელიდან გამეშვა.

გივი გოგნაძე

ელეგია

მძიმე დუმილი აღარ გათავდა,
სულის მოლხენა აღარ მეღირსა...
ცისფერ ოცნებებს წინათ ვხატავდი,
ახლა დუმილი შემომეხიზნა.

მომავლის ცაზე ნისლი აბოლდა,
მიწა ქართული აქაც მესხვისა...
ვარ მოწყენილი ახლა აბულთან
და დუმილი მკლავს ყველა მესხისა.

ხერთვისის ციხე

შენს თვალწინ ბევრი დადუმდა ხსოვნა...
მრავალი ჭირის შენ ხარ მხილველი...
და დგახარ ახლა, ვით მეციხოვნე,
წარბშეკრული და კუშტად მზირველი.

შენ ახლაც გახსოვს ოსმალთ ყივილი
და გახსენებაც სამტროდ გაქეზებს,
ხარ ამოწვდილი, როგორც ხირიმი,
ჟამ-ჟამ გეხვევა ქუფრი ბაგეზე.

ფრთების შრიალით მოდის უკუნი
და გეძალება მწუხრის არავი...
ამაოების ზარი გუგუნებს–
ზაფრის დამცემი და შემზარავი.

შენს თვალწინ ბევრი დადუმდა ხსოვნა...
მრავალი ჭირის შენ ხარ მხილველი...
და დგახარ ახლა, ვით მეციხოვნე,
წარბშეკრული და კუშტად მზირველი.

გურამ ჭავჭანიძე

ვინ რუსთველი შეგვიგინა

ღმერთო, თუ ხარ ცათა შინა,
გული გასკდეს ლამის არი,
ვინც რუსთველი შეგვიგინა,
ნუთუ არ ჰყავს საფიცარი?

ნეტავ სულ არ გაგეჩინა,
იმთავითვე სამიწარი,
ვინც რუსთველი შეგვიგინა,
არ ეღირსოს საფიცარი!

P.S.
საფიცარი
„სიტყვას ვიტყვი ცამ ქუხილი დაიწყოს!“

უბედურება ჩვენი ის არი,
ვინც შეგვიგინა დასაფიცარი,
ვერც შევარცხვინეთ, ვერც შევასმინეთ,
არადა ყველამ ვიცით ვინც არი.

11.03.17

***

აქ, მტერს ქართველნი ბევრჯერ შებმიან,
ბევრჯერ უმუსრავთ ოსმალ-თათარი...
მათი გმირობის ამბავს გეტყვიან:
მთები სამცხის და მთები სამსარის.

...ახლა რად მოდის ხმა გამყინავი,
ნისლი რად ჩნდება როგორც სახადი.
წინაპრის ძვლები რატომ გმინავენ,
რატომ გაისმის ქვათა ღაღადი.

ვინ გამოჰკვეთა კლდეში ვარძია,
ამ მთებს რად ადგას შუქი თამარის,
ვარძია-ჩვენი ერის განძია,
რუსთველი – ჩვენი სიბრძნის თავანი.

აქ, იმღეროდა სარგის თმოგველი
და თორელების ხმალი ბორგავდა...
აქ, ისხდნენ ბრძენნი, როგორც მოგვები
და ნახმლევ-ნაბზარს ჟამი ლოკავდა.

აქ, ხმალს იქნევდნენ ქრისტეს სახელით
და ეცემოდნენ მტერთან ჭიდილში...
აქედან გვწვრთნიდა დიდი ხანძთელი –
ერის სული და ერის სინდისი.

...აქ, მტერს ქართველნი ბევრჯერ შებმიან,
ბევრჯერ უმუსრავთ ოსმალ-თათარი...
მათი გმირობის ამბავს გეტყვიან:
მთები სამცხის და მთები სამსარის.

***

სამსარის სტუდენტური ექსპედიციის წევრებს

სადაც ნატაძრალს შევხვდი მესხელთა –
ყველგან სატანა შემომეფეთა,
ყველგან ილიას სიტყვა მემცხეთა
და ამ მზაკვრების კასტა მეკვეთა.

ყველგან თავს მადგა ფიქრი-ჯალათი,
ნისლი ფრთებს შლიდა ცაზე აფრებად,
ტვინს მიბურღავდა სომხის ღალატი
და სიძულვილის აბობოქრება.

ოხვრად მესმოდა „ქვათა ღაღადი“,
ჭირდა ვარამის სულში შენახვა...
ნუთუ, გამჩენო, მისთვის დამბადე,
რომ აქ წარსულის ჯვარცმა მენახა.

***

აბულის მყინვართან ნისლივით მეხვეოდა მტანჯველი ფიქრი.

აქ, ქართველს უნდა ემრავლა,
აქ, ქართველს უნდა ეხარა_
ჩვენია ივერთ სამშობლო,
ეს ღვთაებრივი ქვეყანა.

სალი კლდეები საჯიხვე,
მწვანე მინდვრები სამწყერე.
კინჭუხზე ორბი ფრთასა შლის,
არწივნი ლაჟვარდს გასცქერენ.

აქ უნდა ვიდგე და ვიფორჯალო.
ვერ მივატოვებ და ვერ გავწირავ:
ამ მთებს,
ამ მწვანე ტყეთა დარბაზებს...
ვარ საქართველოს მიწის ნაწილი
და უნდა მოვკვდე მე მის კალთაზე.

***

აქაც ქართველებს სისხლი უყივით
და სწამთ ილიას წმინდა სამება...
აქაც ახოვან მთების ქუხილი
აფრთხობს ნაზი ცის შემოღამებას.

ეს მიწაც ერის ბედზე ლოცულობს,
მივხედოთ სამცხეს,
ბებერ საფარას,
რომ გადამთიელს და ღვთის მოძულეს,
არ ექნეს სულის თავშესაფარად.

ელდარ ზაზაძე

იწამე ღმერთი, გაზაფხულია!

„დღეს შენი დროა,
გაზაფხული იწყება შენით“...
შივლა

როგორც ტალღები ასკდება ნაპირს,
ისე მოარხევ მაგ კენარ სხეულს.
დედამიწაზე არა ხარ, მგონი,
სხვა პლანეტაზე დაეძებ რჩეულს.

მე ამამღერე, როგორც ბულბული,
აღარ ვარ კაცი, ლამის გავთავდი,
მაგ შენი თმების ჩქერებში წუხელ
აყვავილებულ შროშანს ვხატავდი.

მაგრამ რად გინდა – რიხების რისხვამ
ხის ნაფოტივით გამინაპირა,
თვალების ელვამ დამკრა, დამდაგა
და გული ჩემი მწარედ ატირა.

იქნება ბედი მქონია ასე
კვლავაც დავიჭერ ფუნჯებს „კრასკიანს“,
დაგხატავ ისე, როგორც რემბრანტი
ერთ დროს ხატავდა თავის სასკიას.

ნუ მიწყენ ამას, ნურც გაბრაზდები,
განა ლექსების წერა მწყურია?
აყვავებულა ნუშების ბაღი, –
იწამე, ღმერთი, გაზაფხულია!

***

შენზე ოცნებას ვერ გავექეცი,
გრძელ ღამეების გავხდი მხლებელი,
ახლა ჩვენს შორის არის უფსკრული,
შენი ნახვა კი შეუძლებელი.

მიდიხარ სადღაც და ყვავილების
უკან მოგყვება თეთრი სურნელი,
მიდიხარ, მიგაქვს ჩრდილი ძენნისა,
შენი სურნელით განუკურნელი.

სამცხე-ჯავახეთის

როლანდ თოფჩიშვილი

(გაგრძ. დასაწყ. იხ. N11-12 2016, 1-4 2017)

1790 წლის არზაში ვკითხულობთ: „ერთი ჩემი მემკვიდრე გლეხი ჯავახეთს გადავარდნილიყო, *მამესწარაშვილი*. Mმას უკან ჯავახეთიდამ გადმოსულიყო და *შინდისს მირზაშვილს* მიკედლებოდა“. (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, გვ. 76).

1784 წლის განჩინებაში ქართლიდან ჯავახეთში ერთი და იგივე გლეხების რამდენიმე გზის მიგრაციაა დაფიქსირებული: „*ქ.მზეჭაბუკ მდივანბეგი* (მზეჭაბუკი ყველა მონაცემებით თავადი *ყაფლანიშვილია* – რ. თ.) თავის ყმათ შაბაშვილებს – იმედას, საბას და *დათუნაშვილის პაპას* უჩიოდა, – ჩვენი მემკვიდრე ყმანი არიანო კურწიკამელნიო (მდებარეობდა ქვემო ქართლში, საყაფლანიშვილოში – რ. თ.), და ახლა *დურნუკს* ჩასულანო და დურნუკელად ამბობენ თავიანთ თავსაო და სამართალს ვითხოვთო. ჩვენ, *ბატონიშვილმან იულონ, შაბაშვილები* სამართალში მოვიყვანეთ და ვკითხეთ სადაობა და დრო და ჟამი. ამათ ასე თქვეს: ჩვენ არც კურწიკამელნი ვართ და არც მაგისი ყმანიო. ჩვენ დურნუკელნი ვართ თქვენი ყმანიო. მართალია, პაპა ჩვენი აყრილაო დურნუკიდამაო ვახტანგ მეფის უწინავე და ჯავახეთს გადასულაო და ორმოცი წელიწადი იქ დაუყვიაო; მერმე მაგის პაპას *მზეჭაბუკს კურწიკამში* ყმად მოსვლიანო, სამიოდ წელიწადი იქ მდგარანო და მერმე ისევ ჯავახეთს გადასულანო; ჯავახეთიდამ მეორედ ქართლში მოვსულვართო და ამდენი ხანია არაგვზე გახლავართო, ამათ მეტი არა იცოდნენ რა“ (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 247-248).

ჯავახეთის მოსახლეობის აყრა სხვა საისტორიო საბუთებშიცაა ფიქსირებული. მაგალითად, *იოანე ხუცესის* დღიურ-წერილში ვკითხულობთ: „**1785 წ. 25 აპრილს ჯავახეთის სოფლები აიყარა ქართველის შიშითა**“ (ლომსაძე შ. „გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები)“. თბ. 1979, გვ. 164.

შიდა ქართლში ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია ასახულია XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში. განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს 1818 წლის *გორის* მაზრის სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების აღწერის დავთრები *(სცსსა, ფონდი 254, ან. 1, საქმე N542 და საქმე N544)*. მანამ, სანამ ამ აღწერის დავთრებიდან ჯავახეთის მოსახლეობის შიდა ქართლის სოფლებში მიგრაციის დამადასტურებელ მონაცემებს მოვიყვანთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ არ იყო სოფელი, რომელშიც ჯავახეთიდან გადმოსახლებულ ორ-სამ გვარს მაინც არ ეცხოვროს. 1818 წლის კამერალური აღწერის დავთრებში ფიქსირებულია ქართლში მოსახლეთა და მათი წინაპრების მიგრაციის დროის მითითებით. სოფელ *ნადარბაზევში (კვერნაკზე)* ჯავახეთიდან გადმოსახლებული არაერთი კომლი მკვიდრობდა. სახელმწიფო გლეხების აღწერაში *სამადაშვილების* ორ კომლს მიწერილი აქვს, რომ **„ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ 17 წლის წინ“** (ე. ი. 1801 წელს). ამავე სოფელში ჯავახეთიდან ყოფილა მიგრირებული *ყაზიშვილების* ორი ოჯახი. მათ მიწერილი აქვთ: **„ჯავახეთიდან აგადმოსახლდნენ 15 წლის წინ“** (ე. ი. 1803 წელს). *ნადარბაზევში ჭიჭინაძეების* ერთი ოჯახი **„გადმოსახლებულა ჯავახეთიდან 17 წლის წინ“** (ე. ი. 1801 წელს). თუმცა აღნიშნულ ოჯახებს 1830 წლის აღწერაში მიწერილი აქვთ, რომ ისინი ჯავახეთიდან XVIII საუკუნის ბოლოს მოსულან (*სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 66-68)*. 1801 წელს ჯავახეთიდან ყოფილან მოსული *ჩალაძეები* და *ზენკლაძეები*. **„ჯავახეთიდან გადმოსულან 15 წლის წინ“** (ე. ი. 1803 წელს) *ივანე ბლორძელი* და *კეთილაძეების* ოჯახი. *ზენკალაძეების* გვარისანი *ნადარბაზევში* 1813 წელსაც გადმოსახლებულან. ამავე დროს მომხდარა *მჭედლიშვილების* ერთი ოჯახის მიგრაცია. *რაჯაბაშვილების* ჯავახეთიდან ქართლის სოფელ *ნადარბაზევში* გადმოსვლა 1811 წელს მომხდარა. *ნადარბაზევში* ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია ფიქსირებულია 1830 წლის აღწერაშიც *(სცსსა, ფ. 254, ან.1, საქ. N1244)*. *კაციაშვილებს, მჭედლიშვილებს, კედელაძეებს, ალექსიძეებს, ამბარდნიშვილებს, ოქრომჭედლიძეებს, ლომიტაშვილებს* მიწერილი აქვთ, რომ მოსული არიან ჯავახეთიდან 30-ზე მეტი წლის წინ, ე. ი. XVIII საუკუნის ბოლოს.

სოფელ *სვენეთში* 1818 წელს *ზერეკიძეების* სამი ოჯახი მკვიდრობდა, რომლებსაც მიწერილი აქვთ: **„ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ გადმოსახლებულები“** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N541, გვ. 20)*. იგივე მინაწერი აქვთ სვენეთელ ზერეკიძეებს 1830 წლის აღწერის დავთარში (*სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 100)*.

ჯავახეთიდან მიგრირებული *პაპუნა ჯავახიშვილი* მკვიდრობდა სოფელ *ხელთუბანში*, რომელსაც მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან 7 წლის წინ გადმოსული“**, ე. ი. 1811 წელს *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N 541, გვ. 22)*. 1830 წლის აღწერა მათი მიგრაციის თარიღად 1810 წელს ასახელებს: **„ჯავახეთიდან 20 წლის წინ“** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N 1244, გვ. 98)*.

სოფელ *თორტიზაში* ჯავახეთიდან ხუთი წლის გადმოსახლებული იყო, ე. ი. 1813 წელს *ასათურაშვილების* ოჯახი *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N 541, გვ. 23)*. *თორტიზის* სიახლოვეს ჩრდილო-დასავლეთით არის ნასოფლარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ნასახლარევს“ უწოდებს. გადმოცემით, დიდი ხნის წინ აქ ცხოვრობდნენ ჯავახები. (Читая Г. С. Новый быт в колхозе сел. Тортиза Горийского района. Вопросы этнографии Кавказа. Тб. 1952, стр. 2.).

1818 წლის აღწერა უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მასში დაფიქსირებულია ჯავახეთიდან ქართლში რამდენიმე ათეული წლის წინ მიგრაცია. ასეთი დიდი ხნის გადმოსახლებული გვარები (ოჯახები) მკვიდრობდნენ *კარალეთში, ძევერაში, მარანაში... კარალეთში* აღრიცხულ *დავით ჭილაძის* ოჯახს მიწერილი აქვს: **„40 წლის წინ ჯავახეთიდან გადმოსახლებულები“**, ე. ი. 1778 წელს. ამავე სოფელში მცხოვრებ *თევდორე ოქრუაშვილის* ოჯახს მიწერილი აქვს: **„50 წელია ჯავახეთიდან გადმოსახლებულია“**, ე. ი. 1768 წელს. ამ ოჯახის წინაპარს თავდაპირველად *ცხინვალში* უცხოვრია (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.N 541, გვ. 27). *კარალეთში* ჯავახეთიდან სხვა ოჯახიც იყო გადმოსახლებული. 1818 წლის საეკლესიო აღწერაში *კარალეთში მცხოვრებ ტატუა ამბარდნის* ოჯახს მიწერილი აქვს, რომ **„ჯავახეთიდამ მოვიდნენ 10 წლის წინ“**, ე. ი. 1808 წელს. სოფელ *ძევერაში* მოსახლე *ქიტესა მინაძის* ოჯახი, უფრო სწორედ, მისი მამა და პაპა ჯავახეთიდან 60 წლის წინ გადმოსახლებულა, ე. ი. 1758 წელს. 1818 წელს სოფელ *მარანაში* აღრიცხული იყო *„მახარე ჯავახი გოდერძიშვილი“*, რომელსაც მიწერილი აქვს, რომ **„წინაპრები ჯავახეთიდან გადმოსახლებულან 100 წლის წინ. მარანაში ცხოვრობს 15 წელია“** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N 541, გვ. 32)*, ე. ი. აღნიშნული ოჯახის წინაპარი ჯავახეთიდან ქართლში 1718 წელს მიგრირებულა. ასეთივე მინაწერი აქვს გაკეთებული მარანელი *ჯავახიშვილების* კომლს 1830 წლის აღწერაში: **„ჯავახეთიდან მოსულან 100 წელზე დიდი ხნის წინ“** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ.N 1244, გვ. 111)*.

სოფელ *კვარხითში* 1818 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერაში აღრიცხულ *„ბერუა მანძულაშვილს, იგივე შევარდენიძეს“* მიწერილი აქვს, რომ წინა აღწერის დროს ირიცხებოდა ჯავახეთში. წინა, პირველი კამერალური აღწერა კი 1804 წელს ჩატარდა, ე. ი. *მანძულაშვილი-შევარდენიძე* ჯავახეთიდან შიდა ქართლის სოფელ *კვარხითში* 1804 წლის შემდეგ მიგრირებულა.

სამადაშვილების ჯავახეთიდან მიგრირებული ერთი ოჯახი სოფელ *სობისში* დამკვიდრებულა. 1918 წლის სახელმწიფო გლეხების აღწერაში *გოგია სამადაშვილის* კომლს მიწერილი აქვს, რომ ის არის ხიზანი ჯავახეთის სოფელ კოელადან (?) და გადმოსახლებულან 6 წლის წინ, ე. ი. 1812 წელს. 1830 წლის კამერალურ აღწერაში აღნიშნული ოჯახის გადმოსახლების თარიღად სხვაა მითითებული. ამ აღწერაში შეტანილ *„გოგია სამადაშვილის* ქვრივს“ მიწერილი აქვს: **„50 წლის წინ ჯავახეთიდან“** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N 1244, გვ. 89)*, ე. ი. *გოგია სამადაშვილის* ოჯახი შიდა ქართლში ჯავახეთიდან 1780 წელს მოსულა. *სობისში* ჯავახეთიდან გადმოსახლებული სხვა გვარიც მკვიდრობდა. სახელმწიფო გლეხების 1818 წლის აღწერაში *ტეტია ზარიძის* ოჯახს მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან 30 წლის წინ არის გადმოსახლებული“**, ე. ი. 1788 წელს.

ახლა შიდა ქართლის სოფელ *ზერტში* გადავინაცვლოთ. აქ 1818 წელს აღრიცხულ *ბერუა ჯავახს* მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან მოსულა 30-ზე მეტი წლის წინ. ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილებში“**. 1830 წლის აღწერაში შეტანილია უკვე *„ბერუა ჯავახის შვილი გოგია ჯავახიშვილი“*, რომელსაც შემდეგი მინაწერი აქვს: *„ამისი მამა ბერუა ჯავახეთიდან გადმოსახლდა 50 წლის წინ“*, ე. ი. 1780 წელს.

დიდ მეჯვრისხევში მკვიდრ *ცისკარიშვილების* ოჯახს, რომელთან ერთად ცხოვრობდა ცოლ-შვილიანი ძმა, მიწერილი აქვს, რომ **„ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ მოსულია ხიზნად. ეხლა მიეკუთვნება სახაზინო გლეხებს. გადმოსახლებულია გიორგი მეფისაგან“**. იგივე მინაწერი აქვს ამ ოჯახს 1830 წლის აღწერაში, ოღონდ ამ გვარის სუფიქსი -შვილი შეცვლილია -ძე სუფიქსით და ოჯახი *ცისკარიძეადაა* ჩაწერილი. ჯავახეთიდან მოსულები ცხოვრობდნენ *მეჯვრისხევის* მეზობლად სოფელ *უკულმართშიც*. მაგალითად, *გიორგი ფილიპაშვილის* კომლს მიწერილი აქვს შემდეგი: **„ხიზანი. ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ მოსული. ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილებში, აქ ცხოვრობს ორი წელიწადია“**.

საინტერესო მინაწერი აქვს *ივანე ვარძელაშვილის* 29 სულიან დიდ ოჯახს სოფელ *ახალუბანში:* **„ამისი მამა 100 წლის წინ წამოვიდა ჯავახეთიდან. ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილებში და გადადიოდა ხელიდან ხელში“**.

სოფელ *ჯარიაშენში* მოსახლე *გიორგი მწარიაშვილის* ოჯახს 1818 წლის აღწერაში შემდეგი მინაწერი ახლავს: **„მისი წინაპრები გადმოვიდნენ ჯავახეთიდან. ცნობილი არაა, რამდენი წელია. ამ სოფელში ცხოვრობენ 80 წელია.“** *მწარიაშვილების* კომლის ჯავახეთიდან მიგრაცია დასტურდება 1830 წლის აღწერითაც: **„წინაპრები 100 წელზე მეტია გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N 1244, გვ. 122)*. *ჯარიაშენში* ჯავახეთიდან მიგრირებული სხვა გვარიც ცხოვრობდა. 1818 წლის საეკლესიო გლეხების აღწერაში *ჯარიაშენში* მოსახლე *სოსია გოგილაშვილს* ასეთი მინაწერი აქვს: **„ჯავახეთიდან 80 წელზე მეტი ხნის გადმოსახლებულნი“** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N 544, გვ. 199)*.

ფლავისმანში მკვიდრობდნენ ძმები *სოსია* და *ანდრია ჯაბანაურ-ბერიაშვილები*, რომლებიც აქ არაგვის ხეობიდან გადმოსახლებულან, სადაც დიდი ხნის წინ მისული ყოფილან ჯავახეთიდან. *ფლავისმანში* კი სულ ხუთი წლის დასახლკარებული იყვნენ (ე. ი. 1818 წელს*) (სცსსა. ფ. 254, ან. 1, საქ. N541, გვ. 62)*. 1830 წლის აღწერაში *ფლავისმანში* აღრიცხულია ორი კომლი *„გაბრიელაშვილი, იგივე ჯავახი“ (სცსსა. ფ. 254, ან. 1, საქ. N1243)*.

შიდა ქართლის სოფელ *ტირძნისში* მკვიდრ *გიორგი მაისურაძის* ოჯახს 1818 წლის აღწერაში ასეთი წარწერა აქვს: **„სამცხის ყოფილი მკვიდრი. შემდეგ გადმოსული ჯავახეთიდან 100 წლის წინ“** *(სცსსა. ფ. 254, ან. 1, საქ. N541, გვ. 81)*. *ტირძნისში* მკვიდრობდა *მახარობელ პატენაძის* ოჯახიც. მინაწერში ვკითხულობთ: **„გადმოსული ოსეთიდან. უწინარესად ჯავახი. გადმოსახლებულია აქ რვა წელია“**. ამავე სოფლის მკვიდრი *გოგია ზერეკიძე* XVIII საუკუნეში მიგრირებულა. მას მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან გადმოსახლებული 47 წლის წინ“**, ე. ი. 1771 წელს. *ზერეკიძეების* 35-სულიანი ოჯახის ჯავახეთიდან მიგრაცია 1830 წლის აღწერაშიც არის დაფიქსირებული. ამ შემთხვევაში მინაწერია: **„ჯავახეთიდან 60 წლის წინ“**, რაც 1770 წელს უდრის. 1778 წელს ყოფილა ჯავახეთიდან გადმოსახლებული *ტირძნისელი ივანე ღვინიაშვილის* ოჯახი. თუმცა აქ ის შედარებით გვიან – 1795 წელს მოსულა.

ჯავახეთიდან მიგრირებულები *ცხინვალშიც* მკვიდრობდნენ. *გოგია სალარიძის* ოჯახი აქ 1811 წელს დამკვიდრებულა. *აზარია* და *Gგაბრიელ ძამუაშვილები* კი **„ჯავახეთიდან მოსულან 20 წლის წინ“**, ე. ი. 1798 წელს *(სცსსა. ფ. 254, ან. 1, საქ. N541, გვ. 689)*. *ცხინვალში ძამუაშვილების* ორი ოჯახის ჯავახეთიდან მიგრაცია 1830 წლის აღწერაშიცაა დაფიქსირებული. მათ ასეთი მინაწერი აქვთ: **„ჯავახეთიდან 30 წელზე მეტია“** *(სცსსა. ფ. 254, ან. 1, საქ. N541, გვ. 162)*.

სოფელ *არაშენდაში* ჯავახეთიდან 1818 წლისათვის 7 წლის გადმოსახლებული იყო (ე. ი. 1811 წელს) *გიორგი ხუროშვილის* ოჯახი *(სცსსა. ფ. 254, ან. 1, საქ. N541, გვ. 134)*.

ჯავახეთიდან მიგრირებულები მკვიდრობენ *რუისშიც*. ერთი კომლი *„კიკოლა გიგაშვილი“* 30 წლის წინ, ე. ი. 1788 წელს იყო მიგრირებული, სამი კომლი კი XIX საუკუნეში: *„ივანე ჩაკუნაშვილი“* – 15 წლის წინ, ე. ი. 1803 წელს, *აკობაშვილი* და *ვარძელაშვილი* – 4 წლის წინ (ე. ი. 1814 წელს). *გიგაშვილების* ჯავახეთიდან მიგრაცია 1830 წლის აღწერაშიცაა ფიქსირებული. 26-სულიან *გიგაშვილების* ოჯახს ასეთი მინაწერი აქვს: **„ჯავახეთიდან 40 წლის მოსული“** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 244)*. აქვე მკვიდრობდა ჯავახეთიდან მიგრირებული **„მამულა ჯავახიც“**.

სოფელ *ურბნისში* ჯავახეთიდან გადმოსახლებული *სიმონ ბალახაძე* და მისი ძმა *გიორგი* მკვიდრობდნენ. ურბნისელი *ბალახაძეების* ჯავახეთიდან მიგრაციის თარიღი 1830 წლის აღწერაშია მითითებული: **„20 წლის წინ მოსული ჯავახეთიდან“**, ე. ი. 1810 წელს *(სცსსა. ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 144)*.

ჯავახეთიდან გადმოსული არაერთი ოჯახი მკვიდრობდა შიდა ქართლის სოფელ *დირბში*. *გოგია თამაზაშვილის, ივანე რაზმაძის* და *ტეტია ხორბალაძის* ოჯახებს 1818 წლის კამერალური აღწერის დავთარში მითითებული აქვთ, რომ **„18 წელია გადმოსახლდნენ ჯავახეთიდნ“**, ე. ი. 1800 წელს. *პეტრე ხუციშვილის* ოჯახი *„ჯავახეთიდან მოსული იყო 23 წლის წინ“*, ე. ი. 1795 წელს. *დავით ჯავახიშვილის* ოჯახი *„ჯავახეთიდან 16 წლის გადმოსახლებულია“*, ე. ი. 1802 წელს. დირბში 14 წლის წინ, ე. ი. 1804 წელს დამკვიდრებულან *დავით* და *გოგია დავლაშერიძეების* ოჯახები. აქვე *ვასილ ნებაძის* კომლი ჯავახეთიდან 20 წლის წინ, ე. ი. 1798 წელს იყო გადმოსახლებული. *დირბში* ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაციას 1830 წლის კამერალური აღწერაც გვიდასტურებს. ოღონდ *ხორბალაძეების* ოჯახს ასეთი მინაწერი აქვს: **„ჯავახეთიდან მოვიდნენ 33 წლის წინ“**, ე. ი. 1797 წელს, ნაცვლად 1818 წლის აღწერაში მითითებული 1800 წლისა. დანარჩენების გადმოსახლების თარიღებს შორის სხვაობაც ორი წელია. 1830 წლის აღწერაში *დირბში* ჩაწერილია გვარად *ჯავახი* (ალბათ 1818 წლის აღწერის იგივე *ჯავახიშვილი*), რომელსაც მითითებული აქვს ადრინდელი გვარი *სამანაძე*. ეს ოჯახი 27 წლის წინ (ე. ი. 1803 წელს) მიგრირებულა. 1830 წლის აღწერის მიხედვით ჯავახეთიდან გადმოსახლებულან დირბელი *კუჭუაშვილებიც*, რომელთა ადრინდელი გვარი, ეთნოგრაფიული მონაცემებით, *გრძელიშვილი* ყოფილა. ისინი 20 წლის წინ, ე. ი. 1810 წელს მიგრირებულან. აგრეთვე: *ზარიძეები* და *დავლაშერიძეები*.

საარქივო მასალები ცხადყოფენ, რომ ზოგჯერ სანამ ქართლის ამა თუ იმ სოფელში დამკვიდრდებოდნენ, ჯავახეთიდან გადმოსახლებულები გარკვეული ხნის განმავლობაში კარგი ადგილის, მათთვის სასურველი ბატონის ძებნაში იყვნენ. მაგალითად, 1818 წლის კამერალურ აღწერაში ფრონეების ხეობის სოფელ *თიღვაში* მოსახლე *ნინია კურატიშვილის* ოჯახს ასეთი აღნიშვნა აქვს: **„მისი წინაპრები ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ მოვიდნენ ხიზნად. ამ სოფელში – *თიღვაში* დამკვიდრდნენ 12 წელია“**, ე. ი. 1806 წელს.

ფრონეების ხეობის სოფელ *კნოლევში* (კნოლევი თრიალეთშიც იყო) ჯავახეთიდან მიგრირებული იყო *გოგია სტეფანეშვილი*. მის 17-სულიან ოჯახს მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან წამოსულია 16 წელია. აქ გადმოვიდა 7 წელია.“**

ფრონეების ხეობის სოფელ *ავლევში* ჯავახეთიდან მიგრირებული გვარები იყვნენ *მაისურაძეები* და *ხმალაძეები*. *დავით მაისურაძის* ოჯახს *ავლევში* მოსვლამდე *ქარელში* უცხოვრია. მას მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან 15 წლის წინ გადმოსახლდა“** (ე. ი. 1803 წელს). *დავით ხმალაძის* კომლს კი შემდეგი აღნიშვნა აქვს: **„ჯავახეთიდან მოსული. ცხოვრობდა სხვადასხვა ადგილებში. ბოლოს აქ დასახლდა არადეთიდან 7 წლის წინ“**. აღნიშნული გვარების *ავლევში* მიგრაცია 1830 წლის კამერალურ აღწერაშიც არის დადასტურე-

→

ეთნიკური ისტორიიდან

ბული, რომელშიც *ხმალაძეების* ორ ოჯახს მიწერილი აქვს, რომ **„50 წელიწადია გადმოსახლდნენ ჯავახეთიდან“** (*სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 269)*, ე. ი. 1780 წელს.

1818 წელს სოფელ *მოხისში* ჯავახეთიდან მიგრირებული ორი კომლი მკვიდრობდა. ორივე მათგანი აქ ჯავახეთიდან 6 წლის წინ იყო გადმოსახლლებული, ე. ი. 1812 წელს. ერთი ოჯახის უფროსი *ივანე სამადაძე* იყო, მეორესი – *ივანე მამატაშვილი*. ამ გვარების ჯავახეთიდან შიდა ქართლის სოფელ *მოხისში* მიგრაცია 1830 წლის აღწერაშიცაა ფიქსირებული, რომელშიაც *სამადაძეების* ორი ოჯახია აღნუსხული და რომლებიც, ამ აღწერის მიხედვით, **ჯავახეთიდან 19 წლის წინ,** ე. ი. 1811 წელს მოსულან. რაც შეეხება *მამატაშვილის* ოჯახს, 1830 წლის აღწერაში მათი გადმოსახლების თარიღად 1810 წელია ფიქსირებული *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 277).*

სოფელ *ალში* ჯავახეთიდან 16 წლის მიგრირებული იყო (ე. ი. 1802 წელს) *თომა ერქუმაშვილის* ოჯახი. ალის წყალზე მდებარე სოფელ *ნაბახტევში* 1818 წლის აღწერით ორი ოჯახი იყო ჯავახეთიდან მიგრირებული. კერძოდ, *თევდორე მაისურაძე* ჯავახეთის სოფელ *კარავადან* 14 წლის წინ (ე. ი. 1804 წელს) მოსულა, ვასილ დევსურაშვილი კი – ახალციხიდან 4 წლის წინ, ე. ი. 1814 წელს. *ნაბახტევში* ჯავახთა მიგრაცია 1830 წლის აღწერაშიცაა დაფიქსირებული. აქ აღრიცხულ *თომა ჯავახიშვილს* მიწერილი აქვს: **„მოვიდა ჯავახეთიდან 18 წელია (ე. ი. 1812 წელს) და მაჰმადიანობიდან მიიღო ქართული რწმენა“.**

სოფელ *ჭალაში* ჯავახეთიდან 3 წლის მოსული იყო, ე. ი. 1815 წელს *მიხეილ ჯავახიშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N 541, გვ. 268).* 1830 წლის აღწერაში კი ჯავახეთიდან მიგრირებულადაა დასახელებული *„ჯავახიშვილი ვასილ ისმაილიშვილი“*, აგრეთვე: *„ოლოლტიშვილი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 323).*

სურამის წყალზე მდებარე სოფელ *ლუბრმაში* ჯავახეთიდან 9 წლის გადმოსახლებული იყო, ე. ი. 1809 წელს *ზურაბ ბალახაძის* ოჯახი.

მნიშვნელოვანი რაოდენობით მოსახლეობდნენ ჯავახეთიდან გადმოსახლებულები სოფელ *სამწევრისში* (ძამის ხევზე, საციციანოში). ჯავახეთიდან 19 წლის აყრილები ყოფილან (ე. ი. 1799 წელს) *ივანე წივილაშვილისა* და *საბა ხიზანიშვილის* ოჯახები. *ივანე წივილაშვილს* სამწევრისში მოსვლამდე ხუთი წელი *ქარელში* უცხოვრია. *საბა ხიზანიშვილი* კი დროებით *კასპის ახალქალაქში* მკვიდრობდა. ის *სამწევრისში* 12 წლის მოსული იყო. *ბასილ წივილაშვილი* ჯავახეთიდან 6 წლის მოსული იყო, ე. ი. 1812 წელს. რაც შეეხება *გლახა ქიტიაშვილის, იორამ მანძულაშვილის* და *მამუკა ლუგურაშვილის* ოჯახებს, ისინი სამწევრისში 1814 წელს მიგრირებულან. *თევდორე მურჯიკნელს* მიწერილი აქვს, რომ გადმოსახლდა ჯავახეთის სოფელ *მურჯიკანიდან*, *ოქრუა ალხანაშვილს* და *თომაშვილს* – ჯავახეთის სოფელ *კოთელიიდან*. მურჯიკნელები ძირითადად *წრომში* ცხოვრობენ და მათი ადრინდელი გვარი იყო *ბაბლიძე*. (მაისურაძე ი. ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981, გვ. 116). *სამწევრისში* ჯავახელთა მიგრაცია აისახა 1830 წლის აღწერაშიც, რომელშიც ზემოთ დასახელებულ *წივილაშვილებთან* და *მანძულაშვილებთან* ერთად ჯავახეთიდან მიგრირებულად დასახელებული არიან *ზაალიშვილები* და *სიხუაშვილები* (1800 წელს). რაც შეეხება *მათიაშვილებს*, ისინი სამწევრისში 20 წლის წინ, ე. ი. 1810 წელს გადმოსახლებულან.

1818 წლის აღწერით ქარელში 15 წლის მოსული იყო ჯავახეთიდან *მათე მათიაშვილის* ოჯახი (ე. ი. 1803 წელს). *ქარელში* ჯავახეთიდან მიგრირებული კიდევ ერთი კომლია დასახელებული 1830 წლის აღწერაში – *გლახა მჭედლიძე* აქ **„ჯავახეთიდან 18 წლის წინ“,** ე. ი. 1812 წელს მოსულა.

შიდა ქართლის სოფელ *ხიდისთავში* 13 წლის (ე. ი. 1805 წელს) მიგრირებული იყო სამი კომლი: *სტეფანე მასურაშვილი, თევდორე ჯავახი* და *სოსია ლონდარაშვილი*. იგივე თარიღია ფიქსირებული აღნიშნული ოჯახების გადმოსახლების შესახებ 1830 წლის აღწერაში. ხიდისთავის ერთ-ერთი უბნის სახელწოდებაა „ოხერა“. გადმოცემით უბანს „ოხერა“ იმიტომ შეარქვეს, რომ აქ მცხოვრებნი ჯავახეთის სოფელ ოხერადან გადმოსახლებული ქართველები არიანო (ს. მაკალათია ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 13).

სოფელ *ზემო ხანდაკში* ჯავახეთიდან მოსულთა შორის შეიძლება დავასახელოთ *გიორგი ბალახაძის* ოჯახი. ისინი აქ 1815 წელს დასახლებულან. ერთი კომლი (*ბერუა ხიზანიშვილი*) ჯავახეთიდან გადმოსახლებული *ნოსტეშიც* ცხოვრობდა. ისინი აქ 1802 წელს დასახლკარებულან. *ზემო ხანდაკში* ჯავახთა მიგრაცია შემდეგაც გაგრძელებულა. 1830 წლის აღწერაში მინიშნებულია, რომ *გლახა მარტიაშვილის* კომლი 15 წლის წინ (ე. ი. 1815 წელს) დასახლდა, ხოლო *ომან ამილბარაშვილისა* – 20 წლის წინ (ე. ი. 1810 წელს).

სოფელ *კავთისხევში* 1818 წელს *დავლაშერიძეების* ოთხი ოჯახი და *ნაცვლიშვილების* ერთი ოჯახი იყო აღრიცხული, რომლებიც ჯავახეთიდან გადმოსახლებულან დაახლოებით 1808 წელს. *კავთისხევში* ჯავახეთიდან მიგრირებული გვარები 1830 წლის აღწერაშიცაა ფიქსირებული. *ბასილ თუნიაშვილის* ოჯახი 1805 წელს დამკვიდრებულა დასახელებულ სოფელში, რომელიც შემდეგ *გომარეთში* გადასახლებულა. *ბერუა რევაზიშვილი* აქ 1805 წელს მიგრირებულა, *მეჩიტაშვილი* კი – 1810 წელს *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 16-23).*

სოფელ *მეტეხის* 1818 წლის საეკლესიო გლეხების აღწერაში ჯავახეთიდან გადმოსახლებულებს შორის დასახელებული არიან *გოგია* და *ქიტესა შარიფაშვილები*. მათ მიწერილი აქვთ, რომ **„ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ 60 წლის წინ“,** ე. ი. 1758 წელს. სოფელ *მეტეხში* **ჯავახეთიდან 70 წლის გადმოსახლებული ყოფილა** (ე. ი. 1748 წელს) *აბუაშვილების* ოჯახი *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N 544, გვ. 177).*

გორის მაზრის სათავადო გლეხების 1818 წლის აღწერაში სოფელ *ახრისში* ჯავახეთიდან გადმოსახლებულთა შორის დასახელებული არიან *ყანდურაშვილები* და *ბერაძეშვილები* (ორ-ორი ოჯახი). ისინი აქ *ამილახვრების* ყმები იყვნენ. **მათი მიგრაცია ჯავახეთიდან 60 წლის წინ (ე. ი. 1758 წელს) განხორციელებულა** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N542, გვ. 122).*

სოფელ *ახალსოფელში ლუარსაბ ორბელიანის* ყმად ჩაწერილია *კასრაშვილების* ერთი ოჯახი, რომლებიც ჯავახეთიდან 30 წლის წინ, ე. ი. 1788 წელს გადმოსახლებულან. 1830 წლის აღწერაში *ახალსოფელში კაციაშვილების* ოჯახს მიწერილი აქვს: **„ნადარბაზევიდან. საერთოდ ჯავახეთიდან გადმოსახლებული“** *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 93).*

ჯავახეთიდან გადმოსახლებული საბატონო ყმები 1818 წლის აღწერით მკვიდრობდნენ *ბერშუეთშიც*. ისინი აქ აზნაურ *ქარსიძეებს* ეკუთვნოდნენ. *ქიტესა, ოქრუა* და *გრიგოლ ალაძეების* ოჯახები **ჯავახეთიდან 25 წლის წინ,** ე. ი. 1793 წელს იყვნენ მიგრირებულნი.

ჯავახეთიდან გადმოსახლებულები სოფელ *ტყვიავშიც* ცხოვრობდნენ. 1818 წლის საბატონო გლეხების კამერალური აღწერის დავთარში *ბერუა ჯავახს* მიწერილი აქვს: **„მისი წინაპრები გადმოვიდნენ ჯავახეთიდან 200 წლის წინ“,** ე. ი. 1616 წელს. აქვე *გოგია მღვდლიშვილის* ოჯახს მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან დიდი ხნის წინ გადმოსახლებულნი“,** 1830 წლის აღწერაში *ტყვიავში* მცხოვრებ *როსებაშვილს* მიწერილი აქვს: **„ჯავახეთიდან გადმოსახლდნენ 50 წლის წინ“,** ე. ი. 1780 წელს *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 127).*

სოფელ *მერეთის* საბატონო გლეხების 1818 წლის აღწერაში ჯავახეთიდან გადმოსახლებულებად აღრიცხულია *ჯავახის* გვარის ერთი ოჯახი. ისინი აქ **50-ზე მეტი წლის წინ,** ე. ი. 1768 წელს მიგრირებულან *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 242).*

სოფელ *კულბითში* 1818 წლისთვის ჯავახეთიდან მიგრირებულთა შორის დასახელებულია *ანდრია ელისაშვილის* ოჯახი. მისი წინაპრები აქ **„100 წელზე მეტი ხნის წინ მოსულან ჯავახეთიდან“,** ე. ი. 1718 წელზე ადრე. ამავე დროს იყო ჯავახეთიდან სოფელ *შინდისში* მოსული *ბერუა ჯავახიშვილის* წინაპარი. რაც შეეხება *ღვთისია მეზვრიშვილის* წინაპარს, ის ჯავახეთიდან შინდისში **80-ზე მეტი წლის წინ,** ე. ი. 1738 წელს მიგრირებულა.

1830 წლის აღწერის მონაცემებით, ჯავახეთიდან მიგრირებულები ცხოვრობდნენ სოფელ *ხოვლეშიც*. მაგალითად, *სიმონ ეკიზაშვილის* ოჯახს მიწერილი აქვს, რომ **„ჯავახეთიდან გადმოსულები არიან 15 წლის წინ“,** ე. ი. 1815 წელს. აქვე *სოსია ვალელიძის* კომლი ჯავახეთიდან 1814 წელს გადმოსახლებულა. 1815 წელს ჯავახეთიდან *ერთაწმინდაში ნინია ჩეკლიშვილის* ოჯახი გადმოსულა, სოფელ *ახალქალაქში* – ამავე დროს *ნინია კოშაძე*. ამავე დროს *კეხისჯვარში* ჯავახეთიდან *გიორგი გელაშვილის* კომლი გადმოსულა. ჯავახეთიდან ყოფილა სოფელ *ზემო წრომში ალიხანაშვილის* ოჯახი გადმოსახლებული. ოღონდ მას მიგრაციის დრო მიწერილი არა აქვს.

ჯავახეთიდან მიგრირებულები ცხოვრობდნენ სოფელ *ყელქცეულშიც*. აქ მცხოვრებ *სიქტურაშვილს* მინაწერი აქვს, რომ **„30 წელია გადმოსახლდა ჯავახეთიდან. მოვიდა მცირეწლოვანი“.**

სოფელ *ტახტისძირში* ჯავახეთიდან მიგრირებული ორი კომლი მკვიდრობდა. 1830 წლის აღწერით *რაზმაძის* ოჯახი 25 წლის წინ იყო მოსული (ე. ი. 1805 წელს), *ქებაძისა* – 20 წლის წინ (ე. ი. 1810 წელს).

ალის წყალზე მდებარე სოფელ *სატივეში* 1815 წელს ჯავახეთიდან *გოგიჩაშვილის* კომლი იყო გადმოსახლებული *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1244, გვ. 313)*. ძამის ხევზე, საციციანოს სოფელ *სანიბელში* ასეთი იყო *ზაქუტაშვილის* ოჯახი. ისინი 1810 წელს მიგრირებულან *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N1243, გვ. 80).*

სამხრეთ საქართველოდან იყო მიგრირებული *ბერუაშვილების* სამი ძმა სოფელ *გომარეთში*. მიგრაციის ეს ფაქტი 1823 წლის აღწერაშია ფიქსირებული *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N811).*

1817 წლის აღწერით ქალაქ *გორში* ჯავახეთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი: *კახიაშვილები – კოთელიიდან, ნინია აბუაშვილი – ჯავახეთის* სოფელ *ფრაგიდან, ავთანდილაშვილები, ძამუაშვილები* – ჯავახეთის *ახალქალაქიდან, თაყნიაშვილები – პტენადან, ჭედლიძეები (ორი კომლი) – ბარალეთიდან. გორშივე* არაერთი კომლი მკვიდრობდა სამცხიდან გადმოსახლებული. აქვე *არტაუჯიდან* მოსული *პავლე სიმონიშვილიც* იყო აღრიცხული, რომელიც კათოლიკური აღმსარებლობის ქართველი იყო.

1821 წლის აღწერაში სოფელ *თეზამში* მცხოვრებ *„ქიტესა იმედაშვილ ჯავახოვს“* მიწერილი აქვს, რომ გადმოსახლდა ჯავახეთიდან *(სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N689)*. ასეთივე მინაწერი აქვს სოფელ *კობიანთკარში* (დუშეთთან) მცხოვრებ *იმედაშვილს*.

ჯავახეთიდან მიგრირებულები გვხვდებიან *კუმისსა* და *თელეთში*. 1823 წლის აღწერით, *კუმისში* მკვიდრობდნენ *ჯავახი დიმიტრი* და *ანტონ ტარასაშვილები, თელეთში – გაბრიელ ვარდანაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N802), მოსე ქიტესაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N803)*. 1823 წელს ჯავახეთიდან მიგრირებულები გვხვდებიან *დიდუბეშიც*: გოგიჯანაშვილები (რვა კომლი), ყანდინაშვილები, *კარსაკუჩაშვილები, ბერუაშვილები, მაგასაშვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N803). ჩუღურეთში* ასეთები იყვნენ: *ბაბიურიშვილები, პაჩაძეები, მალხაზიშვილები*. სოფელ *კლდეისში* (ქვემო ქართლი, ფიტარეთთან ახლოს) 1845 წელს მიგრირებული ჯავახი *გიორგი ოქროპირიძე* ცხოვრობდა. აქვე *გიორგი* და *იოსებ ასპალოვები* ჯავახეთის სოფელ *ჩუნჩხადან* იყვნენ გადმოსახლებულნი 1845 წელს (1859 წლის აღწერა. სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. N2121, გვ. 177).

1860 წლის *დიდი თონეთის* აღწერაში ჯავახეთიდან გადმოსახლებულად ჩაწერილია *სიმონ კოხტაშვილის* ოჯახი. 1843 წლის აღწერით ქვემო ქართლის სოფელ *კოდაში* ჯავახეთიდან მიგრირებულნი ყოფილან: *ალავერდაშვილები, „ჯავახიშვილი იგივე ოსებაშვილი“, ძამაშვილი, ტატუაშვილი, ბადალაშვილი, ზარიძეშვილი*. თუმცა ამ სოფელში საბოლოოდ არავინ დარჩენილა. ისინი ძირითადად თბილისში გადასულან საცხოვრებლად.

1818 წლის კამერალური აღწერით *დუშეთში*, საეკლესიო გლეხების აღწერაში, ფიქსირებული არიან ჯავახეთიდან გადმოსახლებული, ქართული ტილოთი და ბამბით მოვაჭრე, *პავლე* და *Gგაბრიელ მოზდოკლიშვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 1, საქ. N804, გვ. 66)*, რომელთა ადრინდელი გვარი *ხმალაძე* იყო.

ასეთი მასალა კიდევ არაერთია. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. ჯავახეთიდან მიგრირებულები ქართლის თითქმის ყველა სოფელში ცხოვრობდნენ. საისტორიო საბუთებითა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის კამერალური აღწერების მიხედვით, ჯავახთა მიგრაცია ქართლში მთელი XVIII საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა, აგრეთვე: XIX საუკუნის პირველ ორ ათეულ წელს.

ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაციის ფაქტები დადასტურებულია XVIII საუკუნის აღწერის დავთრებშიც. მაგალითად, *ლამისყანას* აღრიცხულია **„ხიზანი ჯავახეთიდამ გადმოსული ზეიკიძის შვილი ბერო“** (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. წ. I. თბ. 1967, გვ. 200). აგრეთვე: **„ხიზანი ჯავახეთიდამ გარდმოსული ბერის ობოლი გოგია, ივანე და ტეტია“.**

ერწოს სოფლებში *წიაბეთსა* და *თრანში* XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში აღრიცხულნი არიან: *„ჯავახი მახა“, „ჯავახი ბერი“, „ჯავახი პატატი. ამის განაყოფი ვარდანა“, „ჯავახი პაპუნა“, „ჯავახი ციხელა“* (იქვე. გვ. 45, 47, 48.), სოფელ *ძაგნაკორას* აღწერიდან შეიძლება დავასახელოთ: *„გოგია ჯავახი“* და *„ჯავახი მამუკა ახალ გაყრილი“* (იქვე, გვ. 52-53.). XVIII საუკუნის აღწერის დავთარში შეტანილია არაერთი *ჯავახიშვილიც*, რომლებიც, სავარაუდოა, ხშირ შემთხვევაში, ჯავახეთიდან გადმოსახლებულთა შთამომავალნი არიან. მაგალითად, კახეთში, სოფელ *მაღრანს* ცხოვრობდნენ *„ჯავახიშვილი გიორგი“, „ჯავახიშვილი მამუკა“, „ჯავახიშვილი ავთანდილ“* (იქვე., გვ. 66.). სოფელ *ნასომხარში* ასეთი კომლი იყო *„ბერი ჯავახიშვილი“* (იქვე, გვ. 78.) *მუკუზანში* მკვიდრობდნენ: *„ჯავახი მოÃელე“* და *„იაკობ ჯავახი“* (იქვე. გვ. 89.), *იყალთოში – „ბერიძე ჯავახის შვილი“* და *„ბერიკა ჯავახი“* (იქვე, გვ. 94).

არაგვის ხეობის დაბლობის სოფელ *იორში* აღწერილნი არიან *„ბოგანო ჯავახი“* (იქვე. გვ. 127) და *„ჯავახი გიორგი.“* (იქვე, გვ. 129.), იქვე, სოფელ *ბოდორნაში – „ხიზანი ჯავახი შიოს შვილი ივანე“* და *„ხიზანი სახასო ჯავახეთიდამ მოსული გრიგოლა.“* (იქვე. გვ. 130.), *ბაზალეთში* ცხოვრობდა *„ბოგანო ჯავახი ბერძენა“* (იქვე. გვ. 131.), *არღუნში – „ჯავახი ბერი დათუნა“* (იქვე. გვ. 136),. *სასახლის დუშეთს – „ჯავახი გოგია“* (იქვე. გვ. 136). .და *„ბოგანი ჯავახი პაპუნასშვილი ივანე.“* (იქვე. გვ. 136.). ქვემო ქართლის სოფელ *კოდის* აღწერაში გვხვდება: *„ეგრისელი ბერუა ჯავახი შეუძლებელი“* (იქვე. გვ. 136).

ქსნის ხეობის აღწერაში *ლარგვისის მონასტერს* აღრიცხულია *„ჯავახეთიდამ გადმოსული თავისი ნებით მონასტრისათვის თავშეწირული ღვინია, ისე და თევდორე“* (იქვე, გვ. 194) . იქვე, სოფელ *მონასტერში* აღწერილია *„ჯავახი ღვინია“* (იქვე. გვ. 215). .*ლამისყანაში – „ჯავახ მახარას შვილი ასპალა“* და *„ჯავახი გიგოლა“* (იქვე. გვ. 200.). *უფუეთში – „როსტომ ყურულის ყმა ჯავახი თევდორა“* (იქვე. გვ. 200.). *გარეჯვარს* ცხოვრობდნენ: *„ბოგანო ანდრია ჯავახი“, „ჯავახი ბერი ბოგანო“, „ჯავახი ეივაზა ხიზანა“* (იქვე. 249-250.), *გორის ახალდაბის* აღწერაში შეტანილი არიან: *„ჯავახი პაპიაშვილი ხიზანი“, „ჯავახი ონაშვილი ივანე ხიზანი“, „ჯავახი ბერძენა მეწისქვილე ხიზანი“* (იქვე.. გვ. 250.), *ხელთუბანში* ეწერა: „ნასყიდი ჯავახი *ასლამაზიშვილი ნასყიდა*“, (იქვე. გვ. 251). *„ხელთუბანს სამადაშვილი ჯავახი ძალუტა ხიზანი“* (იქვე.. გვ. 252), .*“ჯავახი ძამაშვილი ელია ხიზანი“* (იქვე. გვ. 252.), *„ჯავახი მირაქაშვილი გიორგი ხიზანი დემეტრესი.“ ხელთუბანში* ჯავახები სხვებიც სახლობდნენ: *„ჯავახი როსტომაშვილი მიქელა ხიზანი“, „ჯავახი გერმანოზიშვილი გოგია ხიზანი“* (იქვე. გვ. 255.), *კირბალში* მკვიდრობდა *„ჯავახი თევდორე ხიზანი“* (იქვე. ,გვ. 255).

გაგრძელება იქნება

□ მშვიდობით, ძმებო, გვხვრეტენ ამაღამ □!

„თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი,
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
... თეთრ ცხენზე მჯდომი,
ნაბიჯით ნელით,
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა და... თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი“.

კოლაუ ნადირაძე

25 თებერვალი...

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას ქართველი ხალხი არ შეეგუა და გმირული ბრძოლა გააგრძელა ოკუპაციის წინააღმდეგ. ამ თავგანწირულ ბრძოლას ასეულობით ქართველი პატრიოტი შეეწირა. მოძალადე ხელისუფლება მათი სახელების ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ამოშანთვას ცდილობდა და დავიწყების ფერფლს აყრიდა, მაგრამ მათი თავდადება დავიწყებული არ იქნა. ამ მხრივ საქმე დაძრულია. გამოქვეყნდა არაერთი მონოგრაფია, რომელშიც საარქივო მასალების საფუძველზე გადმოცემულია ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია.

ამჟამად მსურს ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარო მკითხველ საზოგადოებას ახლახან გამოსული კრებულის შესახებ. ეს არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის თანამშრომელთა მიერ შედგენილი კრებული – **„მშვიდობით ძმებო, გვხვრეტენ ამაღამ!“** პროექტის ხელმძღვანელი *ომარ თუშურაშვილი* (არქივის დირექტორი), კოორდინატორი – ***დავით ალავერდაშვილი,*** პროექტის კონსულტანტი პროფ. ***მიხეილ ბახტაძე.*** მასვე ეკუთვნის მოკლე შესავალი, რომელშიც მიმოხილულია ოკუპაციის წინა პერიოდი. 1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, რაც წითელი რუსეთის მთავრობის გეგმაში არაფრით არ შედიოდა. ამიტომ, ქართველ ბოლშევიკებს – ***ფილიპე მახარაძეს, მარიამ ორახელაშვილს, ლევან ღოღობერიძეს*** და სხვ. დაევალათ – ქართველ ხალხს აჯანყება მოეწყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, რაც მათი დამარცხებით დამთავრდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეძლო ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება – აფხაზეთში ბოლშევიკების მიერ მოწყობილი აჯანყება ***გიორგი მაზნიაშვილმა*** ჩააქრო. ქართველი ბოლშევიკების წაქეზებით, 1920 წელს, ცხინვალის რეგიონში, ოსების აჯანყება ***ვალიკო ჯუღელმა*** გაანეიტრალა, გენერალ ***გიორგი კვინიტაძემ*** 1919 წელს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ანტიქართული გამოსვლები ჩაახშო და ა.შ.

ყოველივე ეს იყო მცდელობა ქართველი ბოლშევიკებისა, რათა შიგნიდან აეფეთქებინათ დემოკრატიული რესპუბლიკა, ხელში ჩაეგდოთ მმართველობა და საქართველო ისევ რუსეთის გუბერნიად ექციათ. ამ პატარა იუდებს (ფ.მახარაძე, მ.ორახელაშვილი, ლ.ღოღობერიძე და სხვ.) ეს არ გამოუვიდათ და მოსკოვში, – სტალინთან წავიდნენ. მან კი იოლად დაითანხმა ლენინი, თუმცა, რა დათანხმება უნდოდა, ის მზად იყო საქართველოს მეორე ოკუპაციის მოსახდენად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი ჩქარობდა საქართველოს ოკუპაციას. ამ დროს ლენინი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო და იცოდა, დიდი დღე არ ეწერა, მის ადგილს კი უმიზნებდა სტალინი, მაგრამ თუ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნებოდა, მაშინ იგი პრეტენზიას ვერ განაცხადებდა სახკომსაბჭოს თავმჯდომრის პოსტზე, რადგან ემიგრანტი იქნებოდა. ამ ფაქტს ტროცკი მის წინააღმდეგ კომპრომატად გამოიყენებდა, ტროცკს ხომ ლენინის ადგილი თავისთვის ჰქონდა დაგულებული. ამიტომ სტალინმა თადარიგი დაიჭირა და საჩქაროდ შემოუსია საქართველოს წითელი არმიის ნაწილები და მოახდინა მისი მეორე ოკუპაცია. ამით კარიერისკენ მიმავალი გზა წინასწარ გაიკაფა, საქართველო მიუერთდა წითელ რუსეთს, ამავე დროს, მეფის რუსეთის იმპერიის საზღვრები აღადგინა სამხრეთ კავკასიაში.

ბუნებრივია, ამ ძალადობრივ აქტს ქართველი ხალხი და პარტიები არ შეურიგდებოდნენ და ოკუპანტების წინააღმდეგ განაგრძობდნენ ბრძოლას. ამ დროს ჩამოყალიბდა ჯერ სამხედრო ცენტრი (1922), შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. მას „დამკომს“, „პარიტეტულ კომიტეტს“, ხანაც, „ინტერპარტიულ კომიტეტს“ უწოდებდნენ. მათ გააჩაღეს ბრძოლა საქართველოს რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ და ცდილობდნენ ქართველი ხალხის პროტესტისთვის რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ორგანიზებული ხასიათი მიეცათ. ეს პროტესტი პერნამენტულად მიმდინარეობდა. თბილისში 24 მაისს გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია – **„უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა აღმართეს. საპასუხოდ უნივერსიტეტს ალყა წითელი არმიის ნაწილებმა შემოარტყეს. საზოგადოების შიშით საბჭოთა ხელისუფლებამ 26 მაისის აღნიშვნა ვერ აკრძალა და ეს დღეც საპროტესტო მსვლელობით აღნიშნეს“** – წერს *მიხეილ ბახტაძე.*

სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, მის განსამუხტავად 1922 წელს *სტალინი* ჩამოვიდა თბილისში. პირველად მივიდა ორთაჭალის ვაგონშემკეთებელ დეპოში მუშებთან. შეხვედრა შედგა ნაძალადევის მუშათა სახლის დარბაზში. მუშები სტალინს „მოღალატის“, „ლურსმნების ქურდის“ – ძახილით შეხვდნენ. სტალინი რის სტალინი იქნებოდა, უარყოფით შეხვედრას შეშინებოდა და

ოდნავ მაინც უკან დაეხია. არა! პირიქით, საღამოს მოწყობილ სუფრაზე, სტალინმა თქვა, – საქართველო უნდა გადაიხნასო. სუფრას მერიქიფედ ემსახურებოდა ახალგაზრდა ჩეკისტი *ლავრენტი ბერია.*

– ამხანაგო იოსებ ბესარიონის ძევ, საქართველო გადავხნათ და გავწმინდოთ მენშევიკური ნარჩენებისგან! – გაუმეორებია ბერიას.

სტალინს მოეწონა ახალგაზრდა ჩეკისტის პასუხი და მეორე დღეს ბერია საქართველოს ჩეკას უფროსის მოადგილედ დანიშნა.

ახლა კი მსურს ჩემი ბავშვობის მცირე მოგონება ჩავურთო: ომი ახალი დამთავრებულია, იმერეთიდან თბილისში მატარებლით ვმგზავრობთ მე, დედაჩემი და უფროსი ძმა. ვიქნებოდი შვიდი წლის. კუპეში, ფანჯარასთან, იდგა ორი მამაკაცი, რომელთაც გრძელი შინელები ეცვათ და ხუთქიმიანი „სტალინკა“ ქუდები ეხურათ. მეხსიერებაში ჩამრჩა მათი ცივი გამომეტყველება. მცხეთას რომ მივუახლოვდით, ერთმა მეორეს გადაულაპარაკა – ამ ტყეში, გახსოვს, „დამკომის“ წევრებს რომ დავდევდითო?..

რა თქმა უნდა, ვიცოდი, რა იყო „დამკომი“, მაგრამ ბავშვური ინტუიციით მივხვდი, ესენი კარგი სულის ადამიანები რომ არ იყვნენ.

ახლაც, უკვე ხანდაზმული, მატარებლით როცა მცხეთაში შემოვდივარ და უცნობი ჩეკისტის სიტყვები მახსენდება, გული ტკივილით მეკუმშება. მან ხომ ბოლომდე არ თქვა – რამდენ ქართველ პატრიოტს მოუსწრაფა სიცოცხლე.

მივყვეთ პირველ სიტყვას და გადავხედოთ კრებულს, რომელშიც საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე თავმოყრილია აღნიშნული სამხედრო საბჭოს წევრთა საგამოძიებო ოქმები.

როგორც რედაქტორი აღნიშნავს, პატიმართა საგამოძიებო მასალა, ძალიან ვრცელი ყოფილა, ზოგიერთი 300-400 გვერდს მოიცავს, ამიტომ კვლევის ამ ეტაპზე საჭიროდ მიუჩნევია თხუთმეტი მამულიშვილის საქმის შესწავლა და საზოგადოებისთვის გაცნობა. საბრალდებო დასკვნებში თითქმის ყველას ერთნაირი ბრალდება აქვს წაყენებული.

სამხედრო ცენტრის წევრებს, გარდა „ბანდიტიზმისა“ და „ავანტურიზმისა“, ბრალად წაუყენეს ანტანტასთან აგენტობა და იმპერიალისტებთან თანამშრომლობა. სინამდვილეში არანაირი კავშირი კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან არ ჰქონიათ. ამ აბსურდული ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა საზოგადოების თვალში სამხედრო საბჭოს წევრები წარმოეჩინათ უცხო ქვეყნის, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერესების გამტარებლად.

სამხედრო ცენტრთან დაკავშირებით საქართველოს ჩეკას სამ ათეულზე მეტი ქართველი დაუპატიმრებიათ, მათგან თხუთმეტს მიუსაჯეს დახვრეტა.

ზემოთ აღნიშნული, ბანდიტიზმთან დაკავშირებით, აწ განსვენებული ისტორიკოსის *კოტე ჩოლოყაშვილის* ნაამბობიდან გამახსენდა. როცა *ქაქუცა ჩოლოყაშვილი* იძულებული გახდა, ბრძოლა შეეწყვიტა და თავისი რაზმით საზღვარგარეთ წასულიყო. პარიზში, ერთ-ერთ რესტორანში, შეხვედრია მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარეს *ნოე ჟორდანიას.* მას სუფრასთან მიუწვევია. ქაქუცას მიპატიჟება მიუღია, მისულა, ღვინით სავსე ჭიქა შეუსხამს მისთვის და უთქვამს: შენ რომ ბრძოლა გაგეგრძელებინა, საქართველოში საბჭოთა მთავრობა ვეღარ იტყოდა – ბანდიტი ჩოლოყაშვილი გვებრძვისო.

ახლა კი მივყვეთ იმ თანმიმდევრობით, როგორც კრებულშია წარმოდგენილი: გენერალი *ალექსანდრე ანდრონიკაშვილი:* **„ქართველ ხალხს სასაყვედუროს ვერას ვეტყვით, ქების ღირსია, მთელი ერი ერთსულოვნად გამოვიდა სამშობლოს დასაცავად. ძნელად თუ რომელიმე სხვა უფრო დაწინაურებული და მოწყობილი ერი, ასეთ შეგნებულ პატრიოტიზმს და თავდადებას იჩენს ომის დროს. მშიერ-მწყურვალნი, უტანისამოსოდ იდგნენ თოვლიან სანგრებში ახალგაზრდა ჯარისკაცები, მუდმივ ბრძოლაში ჩართულნი, დასვენებას მოკლებულნი. მიუხედავად ამისა, ჯარისკაცების სიმტკიცე სრულიად არ შერყეულა, სანამ მთელ საქართველოში არ გამეფდა ევაკუაციისა და გაქცევის ფსიქოზი. ეს საშინელი ფსიქოზი კი სათავიდან დაიწყო“.**

დიახ, სათავიდან დაიწყო „გაქცევის ფსიქოზი“. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ჩაჯდა მატარებელში, დაიძინა და... ემიგრაციაში წავიდა. ერთი კარგი ის გააკეთა, რომ კაპიტულაციას ხელი არ მოაწერა.

თანამედროვე ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, როგორ მშვიდად და ღირსეულად შეხვდა სიკვდილს გენერალი *ალექსანდრე ანდრონიკაშვილი.* მას დახვრეტის წინ უთქვამს ჩეკისტებისთვის: – **„სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე – იქნებ ქართველი ყველა ამისთანა (კვანტალიანზე მიუთითა) გეგონათ? მრავალი ათასი ჩვენზე უკეთესები ზრდიან თავიანთ გულში თქვენდამი სიკვდილს“.**

გენერალი *კონსტანტინე აფხაზი,* ილია ჭავჭავაძის დისშვილი. როცა ის გააფრთხილეს მოსალოდნელი დაპატიმტრების შესახებ, ურჩიეს, საზღვარგარეთ წასულიყო, სადაც მისი ცოლ-შვილი იმყოფებოდა. მან უპასუხა: – **„სად გაგონილა, რომ გენერალი ჯარს ბრძოლის ველზე სტოვებდეს... მე ვრჩები და დავრჩები საქართველოს მებრძოლ ბანაკში მის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“!**

კოტე აფხაზს ეკუთვნის უკვდავი სიტყვები – **„მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკის მიტანისა.**

ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს“!

მასვე ეკუთვნის სიტყვები – **„ჯერ მე**

სიმონ (სიმონიკა) ბაგრატიონ-მუხრანელი

დამხვრიტეთ, ამ ახალგაზრდა ქართველების ცოდოს ნუ მაყურებინებთო“.

სიმონ (სიმონიკა) ბაგრატიონ-მუხრანელი, 20-25 წლის (ალ.ხახანაშვილის მოგონებებიდან): – **„გონზე მომიყვანა სატუსაღოს ეზოში ამტყდარმა ყვირილმა – გაუმარჯოს ჩვენ სამშობლოს, მშვიდობით, ძმებო, გვხვრეტენ ამაღამ!.. ხმამაღლა ყვიროდა სიმონიკა ბაგრატიონ-მუხრანელი“.**

ელიზბარ გულისაშვილი, პოლკოვნიკი. **„ერთმა ჩეკისტმა ჰკითხა: – იცით, საით მიგამგზავრებენო? – ვიცი, მივდივარ, რომ საქართველოსთვის მოვკვდეო...„**

ნიკოლოზ ზანდუკელი – სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ ზანდუკელმა ხელწერილი დადო, მომავალში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდა ანტისაბჭოთა მოძრაობაში, 14 ქართველ ოფიცერ-

იასონ კერესელიძე

თან ერთად მაინც დახვრიტეს.

იასონ კერესელიძე – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1923 წლის 23 თებერვალს ციხიდან მეუღლეს წერს: **„მაშო, მივიღე წიგნი „მოლიპულ გზაზე“... გამომიგზავნე „ვეფხისტყაოსანი“ და ივ.ჯავახიშვილის „ისტორიანი“, ხომ არ წაუღიათ? ის ჩემი სამაგიდო წიგნია და დასაკარგად მენანება...“**

როსტომ მუსხელიშვილი

ამას წერს ავადმყოფი და დასახვრეტად გამზადებული კერესელიძე.

მას ბრალი დასდეს საბჭოთა კავშირის წი-

ნააღმდეგ შეთქმულების ორგანიზებასა და ანტანტის სასარგებლო მუშაობაში მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატში.

ლევან კლიმიაშვილი, ოფიცერი, ბრალი ედებოდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზებაში, ყაჩაღური დაჯგუფებების შექმნასა და მონაწილეობა-ჯაშუშობაში საქმიანობის წარმოება ანტანტის სასარგებლოდ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღალატში.

ალექსანდრე მაჭავარიანი – პოლკოვნიკი, მსოფლმხედველობით მონარქისტი, ნაციონალისტი – ნაციონალისტობა ბოლშევიკებისთვის სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული იყო.

ალექსანდრე მაჭავარიანს, საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროსს, როსტომ მუსხელიშვილისთვის ეროვნულ-დემოკრატების ცეკას დავალების გადაცემისთვის მიუსაჯეს დახვრეტა. სიკვდილის წინ მან ჯალათებს შემდეგი სიტყვებით მიმართა – **„ჩვენ არ გიპირებთ შებრალებას და არც თქვენგან მივიღებთ ლმობიერებას. ეს ჩვენი შეურაცხყოფა იქნება“!**

ივანე ქუთათელაძე – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წევრი. ბრალდება – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ქმნიდა ოფიცერთა კონტრრევოლუციურ დაჯგუფებას და ექსპროპრიატორთა ჯგუფს.

– **„გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“!** – ამ შეძახილებით შეხვდნენ გმირულ სიკვდილს. მათ შორის იყო – *ფარნაოზ ყარალაშვილი* – 24 წლის როტმეისტერი, სამხედრო საბჭოს წევრი.

დიმიტრი ჩრდილელი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო საბჭოს წევრი. ბრალდება: ოფიცერთა დავალებით „სამხედრო ცენტრს“ მოახსენა „ბატარეის“ ჩოლოყაშვილისთვის გადაცემის მზადყოფნა.

სიკვდილით დასჯის წინ ჯალათებს ასეთი სიტყვებით მიმართა: – **„რუსეთში დაივიწყეს თავგანწირულად სიკვდილი. წადით და უთხარით მათ, თუ როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსათვის“!**

ვარდენ წულუკიძე

ვარდენ წულუკიძე – გენერალი, სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელი. მან მუსხელოვთან ერთად შეიმუშავა და ადგილზე დააგზავნა მოსალოდნელ აჯანყებაში მონაწილე პირთა გეგმა. ამასთან იღებდა და აგზავნიდა საიდუმლო ცნობებს წითელი არმიის მდგომარეობის შესახებ.

ივანე ქუთათელაძე

ვარდენ წულუკიძემ, დახვრეტის წინ, ჯალათებს მიმართა: – **„სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს თავისუფლების თავდებია. იგი დააახლოებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლთ“.**

სიმონ ჭიაბრიშვილი – ვაჭარ-კულაკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ყოფილი სახალხო გვარდიელი – 1922 წელს დუშეთის მაზრაში ბანდიტურ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობისთვის დახვრიტეს.

პოლკოვნიკ **გიორგი ხიმშიაშვილის** საგამოძიებო საქმე არქივში არ აღმოჩნდა. არქივის თანამშრომლებს საქმის რეკონსტრუქცია მოუხდენიათ სხვა ფიგურანტების სისხლის სამართლის საქმეებში არსებული ჩვენების საფუძველზე, ამით დავიწყებას გამოსტაცეს ახალგაზრდა პატრიოტი ოფიცრის სახელი, რომელმაც დახვრეტის წინ ჯალათებს მიმართა: **„ჩვენ ვიცით, რისთვისაც გვკლავთ, თქვენც კარგად იცით, რომ ბანდიტები არ ვართ, მალე დადგება დრო და თეთრი გიორგი მრისხანედ მოგთხოვთ პასუხს, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“!**

გიორგი ხიმშიაშვილი იყო რაფიელ ერისთავის შვილიშვილი. მას პაპის პოეტური ნიჭი გამოჰყოლია და საპატიმროს კედელზე მიუწერია:

„თავის მოსისხლეს თუ
მოსპობს მტერი დედამიწაზე,
თუმც ვერ მოუვლის
ჭირისუფალს ცრემლით საფლავზე,
მაინც ვნუგეშობ: ხსოვნა იქნება
ერთგულ მხედარზე
და ქუდს მოიხდის
მამულიშვილი ჩვენს ხსენებაზე“.

ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს იმ ჯალათი, ე.წ. მოსამართლეების გვარები, რომელთაც სადისტური სიშმაგით გამოჰქონდათ დახვრეტის განაჩენი. მათი უმეტესობა არაქართველები იყვნენ, თუმცა არც ქართველები ჩამორჩებოდნენ, ჩამორჩებოდნენ კი არა, აჭარბებდნენ კიდეც. ბოლშევიკი ფუნქციონერი **ლევან ღოღობერიძე** – ქართველ თავად-აზნაურთა დახვრეტას და მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანას მოითხოვდა.

ამიერკავკასიის და საქართველოს საგანგებო კომისიის შემადგებლობა იყო: **მოგილევსკი (ხელმძღვანელი), პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, ზალპერი, პეტროსიანი.** მათ მხარს „უმშვენებდნენ“ – **კვანტალიანი,**

სიმონ ჭიაბრიშვილი

მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი, ლომინაძე. უმეტესობამ, 30-იან წლებში, მათივე კოლეგების ხელში, წამებით დაამთავრეს სამარცხვინო სიცოცხლე.

გიორგი ხიმშიაშვილი

მიიღეს ის, რაც დაიმსახურეს.

ქართველმა ეროვნულმა გმირებმა კი სიცოცხლის ფასად დაამტკიცეს, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

ბონდო არველაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

1918 წლის ბათუმის საზავო კონფერენციის ხელშეკრულება და სამცხე-ჯავახეთის საკითხი

◀ დასაწყისი გვ. 1

დაწესებულების ყველა წარწერა გამოიცვალა. თურქულ ენაზე გადავიდა საქმის წარმოებაც.

1918 წლის ბოლოსათვის, კონკრეტულად 15 სექტემბერს მოკავშირეებმა გაარღვიეს რა თურქეთ-ბულგარეთის ფრონტის ხაზი და შეტევაზე გადავიდნენ. თურქეთი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ბათუმის კონფერენციის ხელშეკრულებაზე.

1918 წლის 30 ოქტომბერს მოდროსის ნავსადგურში (ეგეოსის ზღვაში) ინგლისის აქტიური ჩარევითა და ზემოქმედებით კრეისერ „აგამემნონზე“ ხელმოწერილი იქნა დროებითი საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თურქეთი 1914 წლის საზღვრებში უნდა დაეხია. ბათუმის საზავო ხელშეკრულებიდან რვა თვის შემდეგ, 1918 წლის 4 დეკემბერს, ახალციხეში, ქართული ჯარი ოფიციალურად, ხოლო 22 დეკემბერს, ბათუმში, მოკავშირეთა რეგულარული არმია, შევიდა.

თუ რა შედეგი მოჰყვა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისთვის ამ რეგიონის თურქეთის დაქვემდებარებაში გადასვლას, მოვიტანთ რამდენიმე ფაქტს:

მკვიდრი ქრისტიანი ქართული მოსახლეობა იყო სოფელ ხიზაბავრაში, საროში, ვარგავში, თოკში, ზედათმოგვში, ანდრიაწმინდაში, ქილდაში, გოგაშენში. ჩუნჩხაში, პტენაში, მურჯახეთში, კოთელიაში, ბარალეთში, აგარაში, ხოლო როკეთში, ოკამში, მარგასტანში, ქუნცაში, დადეშში, ზველში, ერკოტაში, გოკიოში, ტობაში, ძველაზველში, ვარევანში, ალასტანში, ღრელში, ჭობარეთში, ტოლოშში და კიდევ რიგ სხვა სოფლებში, მოგვიანებით ქრისტიანებთან ერთად გაჩნდნენ გამაჰმადიანებული ქართველებიც, რომელთა სალაპარაკო ენა იყო ქართული;

იმ სოფლებში, სადაც მხოლოდ გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ, მათ თითქმის დავიწყებული ჰქონდათ მშობლიური ქართული და, ფაქტიურად, თურქულ ენაზე საუბრობდნენ. მათი უდიდესი ნაწილი, თავისი შეგნებით, მრწამსითა და რწმენით, ფანატიკურად, თურქული ორიენტაციისანი იყვნენ. აქედან გამომდინარე, მათ ამგვარი აწიოკება-აყრა-გაქცევა არ შეხებიათ და არც დემოგრაფიულად შემცირებულან.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით უამრავი მასალები არსებობს. ჩვენ საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიტანთ. *1918 წელს ხუჟანების (ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა „ხუჟანებს“ ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველთა ფანატიკოს, მოთარეშე ბანდებს ეძახდა) შემოსევებისა და ქრისტიანი მოსახლეობის მეორედ გაქცევებისას სოფელ საროში მცხოვრებ დაქვრივებულ მარიამ ივანიძეს ქუნციდან ძმამ შემოუთვალა, სასწრაფოდ წასულიყო მასთან, რადგან მეორე დღეს საროხიზაბავრას ხუჟანები უნდა დასცემოდნენ. ქვრივმა მეორე დღეს, გამთენიისას, თავის სამ მცირეწლოვან ვაჟს (სულ პატარა ახალფეხადგმული იყო, ამიტომ ზურგზე მოიკიდა) ხელი მოჰკიდა და ფეხით გაუდგა გზას. კაპნების თავზე რომ გადავიდა, წინ ორი შეიარაღებული პირი შემოხვდა. ისინი მეზობელი სოფლის ნაცნობი მუსლიმანი ქართველები აღმოჩნდნენ. მათ ქვრივი გააფრთხილეს: „ მარო ბაჯი, ჩვენ ვერ დაგეხმარებით. საროში მივდივართ, ჩვენი დოსტი არსენას საშველად. უკან ხუჟანების დიდი ბრბო მოდის, იჩქარეთ, კუროს თავზე არსებულ ხიდზე თუ გადაასწრებთ, გადარჩებით, თუ ვერა და, ალბათ, დაგხოცავენო“. ქვრივმა ბავშვების ტირილს ყური არ უგდო, ფეხს აუჩქარა, გადავიდა ხიდზე და კლდის ძირში შეასვენა პატარები. ცოტა ხნის შემდეგ დაინახა ხუჟანთა უზარმაზარი ბრბო, ყიშლების გავლით როგორ მიემართებოდა სოფელ სარო-ხიზაბავრისაკენ.*

სოფელ ქუნცაში მისულ ქვრივს იქ მცხოვრები ერთ–ერთი მუსლიმანი ქართველი დახვდა და თავის ბოსელში შეიყვანა, სადაც თავი მოეყარა მეზობელ, ასევე სხვა სოფლებიდან შემოხიზნულ ქრისტიან ქართველებს (ასაკოვანი მოსახლეობის გადმოცემით, ამ სოფელში მოთარეშე ხუჟანები გარეთ თუ ვინმე ქრისტიანს ნახავდნენ, ადგილზევე კლავდნენ). ეს მუსლიმი შემოხიზნულებს სამი დღე იარაღით ხელში იცავდა მოთარეშე ხუჟანებისაგან. ხუჟანებმა როცა იმძლავრეს, იგი იძულებული გახდა იარაღით ხელში ბაკურიანისკენ გაეცილებინა აყრილ-შეხიზნული ლტოლვილები.

როგორც ვხედავთ, გამაჰმადიანებული ქართველების იმ ნაწილს, რომლებიც ქრისტიან თანამოძმეებთან ერთად ცხოვრობდნენ, ნაწილობრივ ჯერ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი ქართული ეროვნული ცნობიერება და, შეძლებისდაგვარად, ეხმარებოდნენ კიდეც ძნელბედობის ჟამს გაჭირვებაში ჩავარდნილ ქრისტიან თანამოძმეებს და მოძალადე თანამორწმუნეებისაგან იარაღითაც კი იცავდნენ. სამწუხაროდ, ასეთი ერთეულები ამინდს ვერ ქმნიდნენ. სარწმუნოებაგამოცვლილი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, თავისი შეგნებით, მრწამსითა და რწმენით ფანატიკურად თურქული ორიენტაციისანი იყვნენ.

ბათუმის საზავო კონფერენციის შეთანხმებას სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი მოსახლეობისთვის აყრა-გაქცევებისა და დემოგრაფიული განადგურების მეტი არაფერი არ მოუტანია, ქემალისტების რეგულარული სამხედრო ნაწილების შემოსვლას შედეგად მოჰყვა ის, რომ მათი მხარდაჭერით ადგილობრივ მოსახლიებაზე ხუჟანების თავდასხმებმა კატასტროფული სახე მიიღო.

ბათუმის კონფერენციის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის ქრისტიან მოსახლეობას სულ მოკლე დროში (რაღაც რამდენიმე თვეში) მშობლიური კერიდან ორჯერ მოუხდა აყრა-გაქცევა და ბაკურიანის ტყეებში თავის შეფარება, სადაც ყინვების, შიმშილისა და ავადმყოფობის (გაქცეულებში ტიფი გაჩნდა) გამო დიდ უმრავლესობამ სამუდამო განსასვენებელი ამ ტყეებში ჰპოვა (იძულებით გაქცეულთა მეათედიც კი არ დაბრუნებულა მშობლიურ კერაზე). ინფორმატორთა გადმოცემით, მაშინ სოფლებში დიდი-გაუყრელი ოჯახები იყო. თითოეულ ასეთ ოჯახში სულ ცოტა 30-40 სული ცხოვრობდა. გაქცევების შემდეგ თითოეული ასეთი მრავალსულიანი ოჯახებიდან ორი-სამი კინკილა ბავშვი ძლივს დაბრუნდა, რაც უდიდესი დემოგრაფიული დანაკლისი იყო რეგიონისთვის. მოსახლეობის რაოდენობის ამგვარი კატასტროფული შემცირება (უკან იძულებით გაქცეულთა მეათედიც კი არ დაბრუნებულა) დიდხანს რომ გაგრძელებულიყო, ალბათ, ეს მხარე, ადგილობრივი ძირძველი მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობისაგან მთლიანად დაიცლებოდა.

მურჯახეთის ყოფა-ცხოვრება ძველად

მურჯახეთის (ლურჯახევი) მდინარე, რომელიც სოფელში ჩამოედინება, ლურჯა თევზით იყო განთქმული. ამასთანავე თევზი მდინარეში ძალზედ ბევრი იყო. სწორედ ამ სახელის მიხედვით დაერქვა „ლურჯა ხევი“, შემდეგ შეცვალეს და უწოდეს „მურჯახეთი“. მურჯახეთის პირველი დასახლება ყოფილა მდინარის მარჯვენა ნაპირზე, შემდეგ გადმოსახლებულა სოფელი მარცხენა ნაპირზე, შემდეგ დასახლებულა ახლანდელ ადგილზე.

სოფლის სიგრძე 2 კილომეტრია, ცხოვრობს 94 ოჯახი, აქედან 20 ქართულია.

მურჯახეთში უწინ ცხოვრობდნენ მკვიდრი წინწკალაძეები, ჭილაძეები (ჩილაძეები), ინასარიძეები, ბერიძეები (აქ ცხოვრობდნენ ბერიძეები, რომლებიც გაქრნენ და აქ აღარ არიან, ნაწილი მათი გადასულან თბილისში), შემდეგ მოსულან ნაქალაქევიდან და დღესაც ცხოვრობენ აქ.

ჩვენ სოფელში თათრები არ ყოფილან, ქურთები ცხოვრებულან და მათი სასაფლაოც არის შემორჩენილი. მურჯახეთში არის ოთხი ძველი ქართული სასაფლაო, თანამედროვე ერთად გვაქვს ქართველებს და სომხებს.

სოფელი მურჯახეთი შედის ვაჩიანის სასოფლო საბჭოში. ამავე საბჭოში შედის ჩანდურაც. სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს ნასოფლარები: გაღმა მურჯახეთი, გამოღმა მურჯახეთი. სოფლის ტოპონიმებია: გუმრის გზები – ეს გზა გადადიოდა გუმრზე (ლენინაკანზე) და ამიტომ გუმრიშის ეძახდნენ. გაღმა მიწები, სულოს ადგილები – ვიღაცა სულიკო ყოფილა ამ ადგილას, დიდი წვეულება გადაუხდია და ამიტომაც სულოს ადგილები შერქმევიათ; სულაფები (ნიაღვრის ადგილი), უჩყულაღი – სამყურას ადგილები. შერშრები – საჩქეფელა; წინწკალაანთ ყანები; მუსტიას ადგილი. კაცს ერქვა მუსტია, გვარად ყირქისელაშვილი. ეს ბატონი ყოფილა და მისი საკუთარი მიწები ჰქონია; ნაფუძრები, გველიერები, ნაჭაობარი, ეაღლიები – ერბოიანი; ამ ყანაში ინასარიძეების ქალს წაიღია ხაშილი, თან ეამაღით (თუნუქის მაღალი ქვაბი) ერბო წაუღია. მამამთილს ეს ერბო (1,200 გრ.) მთლიანათ შეუსვია და უთქვამს – რა ცარიელი ეამაღი მოგიტანიაო (ამ კაცს ერთი ჰექტარი მინა მოუთიბია, დაუფოცხია, დაუზვინავს, ისე ძლიერი კაცი ყოფილა და ერბოც წყალივით იმიტომ დაულევია და წყალივით მოჩვენებია).

ისიები, ჩანდურის გზები, მამუანთ ბოსტნები (ჩილაძეები) ქვილთაფები – მაჩვის გორა, წინწკალაანთ გრძელი ყანები, ტალუანთ გრძელი ყანები, ოჰანაანთ გრძელი ყანები, მიხელაანთ გრძელი ყანები, ანტონაანთ გრძელი ყანები, ვურუსაანთ გრძელი ყანები.

საბალახოები – ხევი, ბატონის ყანები.

საზაფხულო საძოვრები – გოგტაღი, ფერდობი, საბალახო. სოფელი ორ უბნად არის გაყოფილი – ქართველთა და სომეხთა უბანი.

წინწკალაძეებს ურუპაანთს ეძახიან (პაპაჩემის მამა თარსი ყოფილა, სახლშიც ურევდა და ურუპა დაურქმევიათ; ინასარიძეები – ანტონაანთი – წყნარი, დინჯი კაცი ყოფილა მუსხიდან; ბერიძეები – მიხელაანთი, ჭილაძეები – მამუანთი, ჭორუხიანები – ოჰანაანი, მარქარიანები – ტალოანი (დედას რქმევია ტალო და იმის მიხედვით დაურქმევიათ). სტეფანიანები – ალესკანიანთი, ბაბაჯანიანები – ვარუსანი, ახალ ჩამოსახლებულ სომხებს (1927 წ.) ვახტაგანებს უძახიან. ქართულად ნიშნავს ლტოლვილს. მათი გვარებია – გუკასიანები, ავეტისიანები, ბღრციანები, მელქონიანები, ნახაპეტიანები, ახალქალაქში – მანუკიანები.

მურჯახეთის მდინარეში ლურჯასთან ერთად იყო ნაფოტა, კარჩხანა, წვერა - მურწა, როცა მდინარე აიღეს და ტბად დააყენეს, თევზიც იმის შემდეგ გაქრა ჩვენთან.



განთქმული მეთევზეები იყვნენ შაქრო, იროდიონ, გარსევან წინწკალაძეები, ელიზბარ ინასარიძე. თევზს იჭერდნენ ბადით. ბადეები მოჰქონდათ ბარალეთიდან – ნიკო გოგოლაძისაგან. ქვის კარგ ოსტატებად ითვლებოდნენ ტაჯატა მარქარიანი, სანდრე ბერიძე (პირველი ოსტატი ჩვენს სოფელში), მისაკ ბაბაჯანიანი, ვანო დავლაშერიძე – ამზადებდა ხის კავებს, გუთანს, ფოცხს, ნიჩაბს, ამბარს, არნადს, კევრს, კასრებს, ხის ორთითებს. ისინი ხურავდნენ სახლებს და ა.შ. ისინი მუშაობდნენ ხელწალდით. ქვის ოსტატთა ხელსაწყოებია – წერაქვა, ჩაქუჩი, ურო, სოლი; ხის ოსტატების იარაღი – ერო, ხერხი, ვერტიკალური ხერხი, საჭრეთელი (სხვადასხვა ფიგურებისათვის და ა.შ), სალაშინი.

სოფელში ყოფილა სამი წისქვილი. ბოლო წისქვილი 1960 წელს დაანგრიეს, წისქვილის ქვები კუმურდოში და ვაჩიანში წაიღეს და კულტურის სახლები ააშენეს.

ერთს, მათეს წისქვილი ერქვა, საიდანაც სოფლელებს განძი ამოუღიათ. პირველი მამუანთ წისქვილი (ჭილაძეების), მეორე – ჰასანას წისქვილი (ჰასანა ქურთი ყოფილა).

სოფლის ისტორიული ძეგლებია – მე-11 საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ძიქვა (რძიქვა), გაღმა ხარების სასწაულის ეკლესია აღარ არის, მხოლოდ გალავანი და წმინდა ქვებია შემორჩენილი. გამოღმა კი მარტო ჯვარია. სოფლის ტერიტორიაზე ოთხი ძველი ქართული სასაფლაოა, არის ქურთების სასაფლაოც და ქართულ-სომხურიც.

სოფელში ქსოვდნენ შალს, თელავდნენ ნაბადს, ქსოვდნენ ხალიჩას, ფარდაგს, ხურჯინებს, ტომრებს, ფიჩვებს, ჯეჯიმებს. ამ საქმიანობაში გამოირჩეოდნენ – პელა, საბედო, ბენო წინწკალაძეები.

ოჯახები იყო დიდებიც და პატარებიც (მცირე ოჯახები). დიდი ოჯახი ჩვენთან განიმარტება მრავალმხრივად: პირველი – სულადობითი სიმრავლე, ოჯახი, სადაც დედ-მამა დარჩა, ასევე ეძახიან დიდ ოჯახს ან ძველ ოჯახს, ძველ ფუძეს.

კომლი. ერთი ოჯახი, ჯალაბი, როცა რამდენიმე შილი (რძალი) ერთად ცხოვრობდნენ, ე.ი. დიდ ოჯახს ვსაზღვრავთ მრავალთაობიანს. ჩვენთან ცხოვრობდნენ სულ 32 კაციანი დიდი ოჯახი, დიდი ოჯახი ჰქონდა ფიდო ინასარიძესაც – 24 კაცი.

ოჯახში უფროსი იყო ბაბუა და ქალებში პაპაჩემის რძალი, ძალიან სუფთა, კარგი ქალი ყოფილა. ისე ყოფილა, რომ ერთ ძმას ერთი კუთხე ჰქონდა, ზოგი დარბაზში იძინებდა, მამაჩემი – ბოსელში, პატარა ბიძა – ოდაში და ა.შ. ისე, რომ ყველას თავისი კუთხე ჰქონდა გამოყოფილი.

წინათ ქალი უფრო მორჩილი იყო. დედაჩემი მამაჩემთან, ბებიაჩემი პაპაჩემთან ხმას ვერ ამოიღებდა: – ნიკო რა გავაკეთო, ერბო-კვერცხი გავაკეთო? ისევ დედაჩემისგან ვიცი –ქალი მაშინ პირახვეული უნდა ყოფილიყო, რომ ძმებიც კარგად ყოფილიყვნენ. მაზლისთვის ფეხი უნდა გაგეხადა, დაგებანა, ვუძახდით – ჩემო მაზლო, პატარა მაზლს – ჩემო ვარდოს. რძლები ვუსუფთავებდით, ვუწესრიგებდით მაზლებს ტანსაცმელს. რძლები ისეთივე დამოკიდებულებაში ვიყავით მულებთან, როგორც მაზლებთან. ჩემი მული ჩემთან ისე იყო, როგორც და. მამამისთან უმძრახობა გვქონდა, ასევე მის ძმებთან და, საერთოდ, უფროსებთან, როგორც კაცებთან, ისე ქალებთან. თუ კარზე იჯდა მეზობელი, მოხუცი ქალი ან კაცი, უნდა მისულიყავი, ხელზე მოგეკითხა. 80 ნლის ქალი იყო მეზობელი. მე მრცხვენოდა, რომ მის კარზე გამევლო, როცა არ უნდა გამევლო, ფეხზე ამიდგებოდა მოხუცი. ერთხელ, შემთხვევით, ნათლიის სახლის ბანზე გადავიარე და დედაჩემი მთელი დღე მეჩხუბა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნათლიას თავზე გადაუარეო.

მაგალითად ჩვენს სოფელში ზესიძე ეჯავრებათ ძალიან, არ ვიცი, ჩვენთან მალალუნდს (ქონებაზე დასახლებულს) უძახიან. ზესიძეებზე იტყვიან – ჯოხი კარებს უკან დევსო. ე.ი. როცა გინდა ჯოხით გააგდებო.

ბავშვების აღზრდა ოჯახში დედის საქმეა. დედა ამზადებდა ოჯახში ქალიშვილს. დედა ამზადებდა მას ოჯახის საქმის ჩასაბარებლად. ვაჟიშვილი მამის თანამგზავრი იყო და მასთან ერთად ემზადებოდა სამუშაოდ.

მამაკაცები: პაპაჩემი და ბიძაჩემი მემინდვრეობას ეხებოდნენ, მწყემსავდნენ. ისე, მამაჩემი, გაუგზავნიათ მწყემსად, სუსტი ყოფილა და მიწის სამუშაოებს ვერ შეძლებსო.

ქალის მემკვიდრეობა მამის ოჯახში იყო მისი მზითები. მზითებში შედიოდა: ლოგინი, ფიჩვი, ხალიჩა, კიდობანი, იყვნენ ისეთი ოჯახები, როცა ცხვარ-ძროხას ატანდნენ მზითებში, რაც შეეხება მიწას, მიწაზე მემკვიდრედ ვაჟი ითვლებოდა. ახალგაზრდები ჩვენთან, ქალიც და კაციც, სრულუფლებიანი ხდება ქორწილის შემდეგ.

დაქორწინებული ახალგაზრდები ჩვეულებრივად ყველა საოჯახო საქმეს ეწეოდნენ. გლოვის დღეებში ახალგაზრდებს არ აგზავნიდნენ. დღეობებში კი უფრო მეტი ახალგაზრდა ღებულობდა მონაწილეობას.

საოჯახო დღეობები: აღდგომა, ამაღლება, წვერობა, ვარძიობა, ახალი წელი. ჩვენთან ყველაზე დასამახსოვრებელია აღდგომა. მთელი სოფელი გავდივართ სასაფლაოზე, ვწმენდავთ, ვალაგებთ, გაიშლება სუფრები და სულისმოსახსენიებელი ითქმება. ყველა ყველაფრს მოიტანს, ვისაც რა აქვს შენახული ამ დღისათვის.

ოჯახში სტუმარს ხვდებოდა ოჯახის უფროსი, ოჯახის უფროსი ბუხრის წინ სუფრის თავში ჯდებოდა. უფროსი სტუმარს გვერდით მოისვამდა. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის უფროსთან ნება არ იქნებოდა, ვერ დაჯდებოდა.

ჩვენთან, სადილის დროს, მამაკაცები ცალკე სადილობდნენ და ქალები – ცალკე. სუფრასთან დაჯდომის დროს მამაკაცები ქუდებს მოიხდიდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ და ისე დაიწყებდნენ პურის ჭამას, მადლობას გადაუხდიდნენ უფალს.

ყველამ იცოდა თავისი საქმე და აკეთებდა იმას, რასაც ავალებდა ოჯახის უფროსი. პტენაში მელიქიძეები 5 ძმა იყო, დედაჩემის ძმები. ოჯახის უფროსად მესამე ძმა იყო არჩეული, როგორც ჭკვიანი და გონიერი.

საკაცებო საქმე: – თესვა, მომკა, წისქვილი, მწყემსობა, ვაჭრობა, შალის ქსოვა, ნაბდის თელვა იყო, არნადებით ვაგროვებდით ყანას, კოდით კაცი არწყამდა და აწონავდა.

ქალის საქმე: – მოწველა და ჩეჩვა, დართვა, შალის ქსოვა, კერვა, ქარგვა, ბავშვების აღზრდა, ყანის დაფოცხვა. ქალები კალოზეც მუშაობდნენ, დგებოდნენ კევრზე, ურევდნენ ფინლებით. ქალი გვიდა, ცხრილავდა.

პურს ვინახავდით ორმოებში, ვხმარობდით ამბარსაც. ოჯახის ძირითადი მეურნეობა – ბოსტანი, ფუტკარი, გარესამუშაოებზე მიდიოდა ახალგაზრდობა.

დიდი ოჯახი: – მიუხედავად იმისა, რომ გაიყრებოდნენ, მაინც ერთად მუშაობდნენ ისე, რომ მაშინ ერთი კაცი ვერ შეძლებდა თავის დარჩენას. ამიტომ მაინც ერთად მუშაობდნენ. მამაჩემის ოჯახში გაყრის დროს ორი ძმა იჯდა და ტიროდა. როცა კითხეს, რა გატირებსო, მაშინ უპასუხეს – ცალ-ცალკე გადიან და ამიტომ ტირიანო.

განაწილება ქონებისა სულადობის მიხედვით ხდებოდა. თუ საშუალება ჰქონდათ, სახლებს ცალ-ცალკე უშენებდნენ, თუ არა და არსებულს ანაწილებდნენ. ქვრივი რძლის უფლება თანაბარი იყო და იყო შემთხვევაც, როცა მას მეტს აძლევდნენ. გაყოფის დროს საზიარო რჩებოდა ხმალი, ხანჯალი, თოფი, კალო, და თუ არსებულ სახლში დარჩებოდნენ ცალკე ოთახებში ძმები, მაშინ სამეურნეო ნაგებობანი საზიაროდ რჩებოდა. უფროს ძმას, მიუხედავად გაყრისა, მაინც ეკითხებოდნენ რჩევას დიდი საქმეების გადაწყვეტის დროს. გაყოფა-დანაწილებამ ყველას თავისი საქმე გაუჩინა, ამასთან, ქალის უფლებები ნამეტანად გაზარდა.

მთხრობელი გარსევან ბაგრატის ძე წინწკალაძე, 60 წლის, სოფელი მურჯახეთი, ახალქალაქის რაიონი, ჩაიწერა ციური ლაფაჩმა 1990 წლის 30 ივლისს

იოსებ გრიშაშვილის უცნობი დოკუმენტები

ქვემოთ გამოქვეყნებული 5 უცნობი წერილი დაცულია ჩემს პირად არქივში. ეს ბარათები პოეტს გაუგზავნია ჯავახეთში – სოფელ ბარალეთის მკვიდრ გიორგი (გრიშა) ლაზარეს ძე გოგოლაძისათვის...

გ.გოგლაძე თავისი დროის მეტად საინტერესო პიროვნებაა. სოფლის ბარობაზე – განათლებული და ნაკითხი, წერდა ლექსებს.

როგორც მისი წერილებიდან ჩანს, მას ნაცნობობა ჰქონია მრავალ ქართველ მეცნიერთან, მწერალთან, საზოგადო მოღვაწესთან. მრავალმხრივია მისი ინტერესის სფერო: მშობლიური ქვეყნის ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება; თვით იწერს მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში ხალხურ ლექსებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, ძველი ყოფაცხოვრების ამსახველ გადმოცემებს, თქმულებებს, წეს-ჩვეულებებს; აგროვებს ცნობებს მისი მშობლიური კუთხის ისტორიულ ძეგლებზე.

ი.გრიშაშვილი მას „ჯავახეთის ავანჩავანს“ უწოდებდა. გ.გოგოლაძე პირადად იცნობდა ივ,ჯავახიშვილს, ს,ჯანაშიას, ს.მაკალათიას, თითქმის ყველა გამოჩენილ მწერალს და მეცნიერს...

წერილები, რომლებიც ღია ბარათებზეა დაწერილი, ი.გრიშაშვილს მ.გოგოლაძისათვის გამოუგზავნია 1936-1940 წლებში.

პირველი წერილი: 1936 4 სექტემბერი.

სალამი გიორგის! თქვენი ვრცელი წერილი მივიღე. გმადლობთ ქათინაურებისათვის. ამჟამად ძალიან ბევრი შავი სამუშაო მაქვს (პუშკინის, ილიას და შოთას საიუბილეო კომიტეტში ვმუშაობ), ამიტომ, მოკლედ გიპასუხებთ: ა.ცაგარელის კომედიები, ჯერ საავტორო ეგზემპლარები, არ მიმიღია, მივიღებ თუ არა, გამოგიგზავნით, ა.ჭ-ძის წიგნი მომავალ წელს გამოვა. სხვადასხვა მიზეზის გამო აქამდე ვერ დაიბეჭდა. მე ცოტას ავადვმყოფობ და თავს ვუფრთხილდები, გულის მანკი დამჩემდა. გიგზავნი პატარა ბროშურებს, რომელიც ძველ ბაზარზე შემხვდა, იქნება გაერთო ცაგარელის წიგნის მოსვლამდე.

პატ. ი.გრიშაშვილი.

მეორე წერილი. 1939 წლის 12 იანვარი.

სალამი გიორგის! სწორედ დილით გამოგიგზავნე ერთი ჩემი ახალი წიგნი – „მირზა ფატალი ახუნდოვი“, საღამოთი კი შენი წერილიც მივიღე. თუ ცოტა უკმეხი წერილი გამოგიგზავნე, ალბათ, იმ ნუთს, მაგ გუნებაზე ვიყავი. ჩემი ბიბლიოთეკის გადამკიდე და, ზოგადად, შენზე ვიყარე ჯავრი, ბოდიში! შენ კაი ბიჭი ხარ, ნიჭიერი, როგორც თვით ჯავახეთი და მე ეხლაც იმ აზრისა ვარ, რომ შენ უნდა გახდე სტუდენტი ჩვენი უნივერსიტეტისა. მაკალათიას სწორედ ისე ვუთხარი, როგორც მოგწერე. ალბათ, ამის შემდეგ გამოგიგზავნა. ისე კი იმანაც გაქო, საინტერესო კაციაო. ნახვამდის, თუ რამეს დავბეჭდავ – კიდევ მოგართმევ.

ი.გრიშაშვილი.

მესამე წერილი. 1939 წლის 12 მარტი.

ამხ. გიორგი! აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ვერაფერი გავაწყე. წიგნების გამოგზავნა ვერ ხერხდება. სახელგამს ამის აპარატი არა აქვს... ისევ შენ უნდა ჩამოხვიდე ერთხელ და ამ საქმეს თავი მოაბა. ან სხვა ვისმეს დაავალო, ან, კიდევ, თვითეულ ავტორს ცალკე მისწერო წერილი. ჩვენ (ყველა მწერალი) დატვირთულნი ვართ და ერთმანეთს ისე ხშირად არ ვხვდებით ხოლმე. მით უმეტეს, პროფესორებს (ზანდუკელს და სხვ.) აი ჩემი აზრი. ბოდიში, რომ თხოვნას ვერ გისრულებ.

ი.გრიშაშვილი.

მეოთხე წერილი. 1939 წლის 13 ნოემბერი.

შენი წერილი, გიორგი, მივიღე! კაცო, არ უნდა დამემდურო ხოლმე, თუ ხამუშად შეგესიტყვები. ხან არა მცალიან, ხან თბილისში არ ვიმყოფები (ჯერ „სასუნცი დავითის“ იუბილეზე გახლდით. მერე წყალტუბოში ვმკურნალობდი). იწერები, როდის გამოვა შენი ნაწერებიო. რა ვიცი? ვერც იმას მოგწერ, რაზედ ვმუშაობ. მე, როგორც ერთხელ მოგწერე, უნაყოფოდ არც ერთი წუთი არა მაქვს დაკარგული, მაგრამ თუ როდის რა გამოვა, ძნელია მაგის თქმა. აი, ლერმონტოვზე წერილი მქონდა, შენ რომ „ფრიად საინტერესო ნარკვევად“ მიიღე: ეგ თემა უცბად გამოტყვრა, გეგმაში არ მქონია, ამიტომ ადრევე ვერაფერს დაგპირდები, ხშირად დაწყებული თემა, სხვადასხვა მიზეზის გამო, იცვლება ხოლმე სხვა თემით. ეს არის გამოსარკვევი. ამიტომ მაგ სიტყვებით ნუღარ მომმართავ, როდის და რა გამოვა გრიშაშვილისაო. როცა გამოვა – გამოვა. შენ კი, როგორც გითხარი, ჩემს ნაწერებს დაბეჭდვისთანავე მიიღებ. სხვა რა გინდა? ეხლა ვარძიაზე: ჩვენი პოეტები ძალიან კმაყოფილნი ჩამოვიდნენ. კვლავ აპირებენ მომავალ წელს ჩამოსვლას. შეიძლება მეც გეწვიოთ, მარიჯანიც იყო, რად დაივიწყე.

სოსო.

მეხუთე წერილი. 1940 წლის 8 სექტემბერი.

1.სალამი და გამარჯვება პოეტო! შენი წერილები მაგიდაზე დამხვდა, რომ ჩამოვედი. მე ხომ სოჩაში ვიყავი სამკურნალოდ! ჰოდა, სწორედ ამ სოჩის ბრალია, რომ წიგნი ვეღარ გიშოვე გამოსაგზავნად. საქმე ის არის, რომ ა.ჭ-ძე უჩემოდ გამოვიდა. თბილისის მაღაზიებში აღარ არის გასაყიდად! მე კი, როგორც რედაქტორს, მხოლოდ ერთი ცალი მერგო გამომცემლობისაგან (ასეთი წესია). იმედია წიგნის არ-გამოგზავნა ჩვენ შორის შუღლს არ ჩამოაგდებს და ისევ მეგობრებად დავრჩებით – ჩემს საღამოსაც გამართავ ს.ბარალეთში...

2.რატომ არ დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის კრებულში ი. ბალახაშვილის მიერ აღმოჩენილი ნ. ბარათაშვილის მშობლების წერილიო? – რა მოგახსენო. მაგის რედაქტორი მე არ ვყოფილვარ, ერთი რამე უნდა იცოდე, რომ ნ.ბარათაშვილის ლექსები 3 წელი დაბეჭდილი იყო და მხოლოდ შარშან გამოვიდა!

3.ის ლეგენდა ელიაზე ჩაწერა ს.ბარალეთის „სასოფლო სკოლის“ მასწავლებელმა ი.სანაკოევმა. ქართულად ი. ჯ-შვილის თარგმანი უნდა იყოს. ჩაწერილია 1894 წ. ნახვამდის. ოპერაცია გადავდე. ბევრი მუშაობისაგან ჯერ გონს ვერ მოვსულვარ.

სოსო.

ვახტანგ გურგენიძე,
საქართველოს ცენტრალური არქივი. ვახტანგ გურგენიძის პირადი ფონდი 303, 1. 277-06

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის 80 წლის საიუბილეოდ

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. N3-4)

მუზეუმი კაცობრიობის გრანდიოზული სამახსოვრო წიგნია.

ლუნაჩარსკი

დავით ლობჟანიძე ენერგიულად, დიდი მონდომებით ხელმძღვანელობდა მუზეუმის საქმიანობას. 1937 წლის 11 ოქტომბერს, იგი საქართველოს განათლების სახალხო კომისრისა და პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივნის (სამაგალითო პიროვნების) – ბატონ გიორგი კირვალიძის სახელზე აგზავნის განცხადებას: – *„შეგახსენებთ, რომ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების შესახებ სახკომსაბჭოს დადგენილება მიღებული იყო აწლის 10 იანვარს, მაგრამ, ფაქტიურად, საორგანიზაციო მუშაობა დაიწყო თებერვლის მეორე ნახევარში.*

... იმთავითვე უბინაობა და სათანადო კადრების უყოლობა იყო ჩვენი ხელის შემშლელი მიზეზი და ეს მიზეზები დღესაც დიდად აფერხებს მუზეუმის მუშაობას...

მუზეუმის შესანახი ხარჯები მთლიანად განსახკომმა მიიღო თავის თავზე და, ამგვარად, ადგილობრივ ხელისუფლებას მარტო ის დაევალა, რომ გამოენახა მუზეუმისთვის შესაფერი შენობა და ხელი შეეწყო მისი მუშაობისთვის, მის გარშემო ადგილობრივი ძალების დარაზმვით...

აქედან გამომდინარე, რაიაღმასკომმა და ქალაქის საბჭომ „შეერთებულის ძალით“ გამონახეს ერთი დარაბა. „დროებით“ მოათავსეს მუზეუმი ამ დარაბაში და ჩვენც იძულებული შევიქმენით, აქ დაგვეწყო ჩვენი მუშაობა... უმთავრესი ამოცანა, რის განხორციელებასაც პირველ რიგში შევუდექით, ეს იყო სამუზეუმო ფონდის შექმნა, ... რაც ამჟამად უკვე საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება. კოლექციები დაგროვილი გვაქვს: 1) არქეოლოგია, 2) ნუმიზმატიკა, 3) ძველი საომარი იარაღები, 4) ხელსაქმე, 5) ქალისა და მამაკაცის სამოსი, 6) სპილენძის ჭურჭელი და სხვა საოჯახო ნივთები, 7) შინამრეწველობა – ახალციხის ცნობილი ფილიგრანი, 8) ისტორიული ძეგლების აკვარელები და ფოტოსურათები, 9) ისტორიული მნიშვნელობის წარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვები, 10) ხელნაწერები, 11) ზეპირსიტყვაობა, 12) სამცხე-ჯავახეთის მინერალები, 13) მესხეთის გეომორფოლოგია და პალეონტოლოგია და სხვ.

ეს ექსპონატები გამოფენილია დროებით ვიტრინებში და ფარებზე. მეტი წილი კი ყუთებში ინახება“.

ამაგდარი დირექტორი გულდაწყვეტილი განაგრძობს: – *„ამ საქმეში დახმარება მხოლოდ საქართველოს სამხარეო საზოგადოებამ გაგვიწია, რომელმაც დოცენტ სერგი მაკალათიას ხელმძღვანელობით სპეციალური ექსპედიცია მოავლინა სამცხე-ჯავახეთში. სხვა მხრივ არსაიდან დახმარება არ გვქონია. ოთხი თვის წინათ შესდგა ადგილობრივ სამხარეთმცოდნეო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად გამოყოფილი საორგანიზაციო ბიუროს პირველი და უკანასკნელი სხდომა... 8 სექტემბერს, უკანასკნელად კიდევ ხაზგასმით მაქვს აღნიშნული, რომ უბინაობის გამო შეუძლებელი ხდება მუზეუმის მუშაობის გაშლა, მაგრამ არც ამ მოხსენებაზე მივიღე ვერავითარი პასუხი. დრო კი არ ითმენს...“*

საგულისხმოა განსაკუთრებული უყურადღებობა ადგილობრივი ორგანოების მხრივ...

ამ საკითხზე, შეწუხებული, თავის მოხსენებით ბარათში ასევე წერს: – *„მე, კვლავ წარუდგინე წერილობითი მოხსენება რაიაღმასკომის პრეზიდიუმს 17 ივლისს... მაგრამ ეს საკითხი არც დღეს განუხილავს პრეზიდიუმს. ასე ჩაიშალა ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავის იუბილისათვის განზრახული გამოფენის საქმე, მაგრამ ვშიშობ, ვერც შოთა რუსთაველის იუბილისათვის განზრახულ გამოფენას მოვაწყობთ ახალციხეში“.* ბატონი დავითი აქვე აღნიშნავს, რომ *„რაიონული საიუბილეო კომისია, ჯერ კიდევ 1936 წლის ბოლოს ყოფილა გამოყოფილი ახალციხის რაიაღმასკომის მიერ, მაგრამ უკანასკნელ დრომდე არცერთი სხდომა არ ჩაუტარებიათ... ისე კი სასურველი იქნებოდა მუზეუმის ოფიციალური გახსნაც შოთა რუსთაველის იუბილის დღისათვის მოგვეხდინა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც იგივე შენობის საკითხი იქნება ყველაზე ძნელი გადასაჭრელი...*

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ პრობლემებს ისიც ემატება, რომ შოთა რუსთაველის სამშობლოდ ზოგიერთი ამხანაგები თვლიან ასპინძის რაიონს, ნაცვლად ძველი მესხეთისა და თავის მუშაობას აძლევენ ისეთ მიმართულებას, თითქოს არავითარი კავშირი არ ჰქონდეს რუსთაველის ეპოქასთან ახლანდელ ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონებს და მის ისტორიულ ძეგლებს...

მესხეთის სიძველეთა საგანე

თუ მკითხველი საზოგადოებისთვის მოსაწყენი არ იქნება, კვლავ მუზეუმისთვის საჭირო შენობის შესახებ გავაგრძელებ საუბარს... 1939 წლის 9 აგვისტოს მუზეუმის დირექტორი – ბატონი დავით ლობჟანიძე კვლავ თხოვნით მიმართავს განათლების სახალხო კომისარიატს და წერს, რომ *„ამჟამად, რაიონის ხელმძღვანელობა უკვე სათანადოდ აფასებს მუზეუმის გარშემო არსებულ მდგომარეობას, რაც იმაში გამოიხატება, რომ რაიაღმასკომის პრეზიდიუმის აწლის 3 აგვისტოს დადგენილებით დასმულია საკითხი მუზეუმისათვის ახალი შენობის აგების შესახებ“.*

რაც შეეხება მის სამოქმედო არეს, ასეთად აღებული იყო სამცხე-ჯავახეთი. ეს საკითხი კიდევ წამოიჭრა 1938 წლის დასაწყისში, ვარძიის მუზეუმის დაარსებასთან დაკავშირებით და გადაიჭრა შემდეგი სახით:

ახალციხის მუზეუმი დარჩა როგორც სამცხე-ჯავახეთის სამხარეთმცოდნეო დაწესებულება, ვარძიის მუზეუმს კი მიეცა რუსთაველის ეპოქის სამუზეუმო დაწესებულების პროფილი.

როგორც ვხედავთ, ახალციხის მუზეუმმა თავის პრაქტიკულ მუშაობაში მიიღო შემდეგი მიმართულება: ე.ი. რამდენადაც სოფლისა და ქალაქის სოციალურ გარდაქმნასთან დაკავშირებით შეცვლილი იყო რაიონის ეკონომიკა და მისი სოციალ-კულტურული სახე, მუზეუმი შეეცადა მომხდარ ცვლილებათა ასახვას, რაც მოცემული იყო ორ „სტალინურ ხუთწლედის“ მიღწევებში.

ზემოხსენებულ ცვლილებებთან დაკავშირებით სწრაფი ტემპით იცვლებოდა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაც. ამიტომ მუზეუმის ამოცანა მიზნად ისახავდა, რაც შეიძლება ფართო მასშტაბით ეწარმოებინათ ეთნოგრაფიული მასალის დაგროვება და სათანადო ფონდების შექმნა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თავის მოხსენებით ბარათში, დ. ლობჟანიძე წერს: – *„სამცხე-ჯავახეთი, თავისი მოსახლეობის შემადგენლობით, მეტად მრავალფეროვანია. ისტორიის მანძილზე ამ მოსახლეობისა და მისი ზნე-ჩვეულებათა ცვალებადობა უდიდეს მასალას იძლევა ამ მხარის ეთნოგრაფიის შესასწავლად,* და აქვე დასძენს – *მაგრამ კიდევ მეტსა და იშვიათ, მდიდარ მხარეს წარმოადგენს იგი თავისი ისტორიული წარსულით და მისი ნაშთებით. ეს ნაშთები, იშვიათი სიუხვით არის გაბნეული სამცხე-ჯავახეთის მთელ ტერიტორიაზე, არქიტექტურული ძეგლების, ნასოფლარების, კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების, მიწისქვეშა ნაშენ სამალავების (დარნების) სახით და ა.შ.“*

ამდენად, ყოველივე ეს დასტურია იმისა, რომ ახლად დაარსებულ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობას, რომელსაც იმთავითვე მიენიჭა რეგიონული სტატუსი, საქმიანობის დასაწყისშივე მისცემოდა სწორი გეზი, ხოლო ადგილობრივ ორგანოებს შეექმნათ შესაბამისი პირობები ნორმალური მუშაობის საწარმოებლად.

ერთი სიტყვით, მუზეუმი მაინც დიდხანს განაგრძობდა ბოჰემურ ცხოვრებას, ვიდრე გიორგი კირვალიძის უშუალო გულმოდგინებით, ქალაქის საბჭომ, 1939 წლის ბოლოს, ქ. ახალციხეში, კერძოდ, კიროვის ქუჩაზე მდებარე „ფირალიშვილების სახლის“ ქვედა სართულზე ხუთი საგამოფენო დარბაზი გამოუყო... შენობის მიღებისთანავე, როგორც უკვე წინა სტატიაში აღვნიშნავდით, უმალვე მოეწყო სამი განყოფილება: 1. ბუნების შემსწავლელი; 2. ისტორიისა და ეთნოგრაფიის; 3. სოციალური მშენებლობის.

მუზეუმის დირექტორის დიდი მზრუნველობითაა გამთბარი მრავალი ხელნაწერი ფურცელი, რომელიც მუზეუმის არქივში ინახება. სწორედ არქივის საშუალებით ვგებულობთ, რომ ბატონი დავითი გაზაფხულობით თავის გარშემო იკრებდა ადგილობრივ სტუდენტებს და დაინტერესებულ ადამიანებს. აფორმებდა ხელშეკრულებებს და ეწეოდა პროპაგანდას მუზეუმის სამომავლო მუშაობისთვის. მას მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა „ვინმე-მესხის“ შვილიშვილებთან. მათ შორის, **ილია მაისურაძესთან** და **არჩილ გვარამაძესთან.** ერთ-ერთ წერილში იგი ილია მაისურაძეს წერს: *„მცირე დროს უთმობთ თქვენს მშობლიურ ქალაქს... თქვენი მუშაობა მუზეუმისათვის ყველაზე ნაყოფიერად მიმაჩნია საარქივო მასალის სისტემატიზაციის დარგში. „ვინმე-მესხის“ არქივის საკითხი კიდევ გადასახედია, რის გამოც არჩილსაც მივწერე, რომ თვითონ შეიაროს განსახკომში და დააჩქარებინოს პასუხი“,* ხოლი არჩილ გვარამაძის შესახებ პროფ. ს. მაკალათიას სწერს: *„არჩილი ერთი თვით მოემგზავრება ჩვენთან, გულს უხარია, რომ ღირსეული მემკვიდრეა დიდი ივანე გვარამაძისა. თვითონ შემოგვთავაზა მუშაობის გეგმა – შეგვიკრებს ცნობებს რაიონის გეოგრაფიული მდებარეობისა და ლანდშაფტების შესახებ, ასევე იმუშავებს პალეონტოლოგიური მასალების შევსების მიზნით“.*

ბატონი დავით ლობჟანიძე ასევე მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას ამყარებდა მაშინდელ საზოგადო მოღვაწეებთან. მათგან მოკრძალებით ითხოვდა მხარდგომას, რათა მუზეუმს თავისი საქმიანი სიტყვა ეთქვა ახლად აღორძინებულ მუზეუმზე სამცხე-ჯავახეთის სინამდვილეში... ამის გამო, მორიდებით წერდა **ილია პეტრიაშვილს** – *„ამ ახლო ხანში ჩვენი მუზეუმის თანამშრომლები ჩამოივლიან სწორედ იმ რაიონს, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, რის გამოც სასურველი იქნებოდა თქვენი მონაწილეობა ამ მცირე ექსპედიციაში, გარდა ამისა, თუ დრო გექნებათ, შეგესრულებინათ ჩვენი მუზეუმის სომხური ხელნაწერებისა და ბეჭდვური წიგნების აღწერა-დამუშავება, რაც საკმაოდ მოგვეპოვება.“* ანალოგიური ხასიათის წერილს უგზავნის პროფ. ს.კაკაბაძეს, სადაც აღნიშნავს: – *„შემთხვევით გავიგე, რომ თქვენ გამოგითქვამთ სურვილი, რათა ზაფხულის თვეები სამცხე-ჯავახეთში გაატაროთ, მეტად სასარგებლო და სასურველი იქნება. გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი ჩამობრძანებისა და სურვილების შესახებ თუ რა მონაწილეობას მიიღებთ სამუზეუმო სამუშაოებში და რამდენი ხნით“.*

ამაგდარი დირექტორი თავის მხრივ ყველას უნაწილებდა მზრუნველობას და კეთილ მასპინძლობას. იგი **რ. გვერდწითელს** წერს: – *„არქიტექტორთა ჯგუფს, რომელსაც განზრახული აქვს ზაფხულის თვეებში ჩვენს რაიონში მუშაობა, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი აღმოუჩენს ყოველგვარ დახმარებას სატრანსპორტო საშუალებათა გამონახვით. ამასთანავე, საჭიროა ვიცოდეთ დრო და მარშრუტი მათი მოგზაურობისა, რომ სათანადო პუნქტებზე ბინის გამოსანახავად ადრე მივიღოთ შესაფერისი ზომები“.*

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება შემოგთავაზოთ ინჟინერ **ვახტანგ ნაცვლიშვილის** ინიციატივაზე, რომელიც მუზეუმის დირექტორს ბატონ დავით ლობჟანიძეს უგზავნის ბარათს და აფრთხილებს – *„ივანე ყიფშიძე მოგწერდათ ჩემს შესახებ... ერთ კვირაში თქვენთან ვიქნები, აგატ-პარტიის კანტორაში და ა.შ.“*

მუზეუმის ხელმძღვანელის ჭეშმარიტ სახეს ხედავ, როცა დ. ლობჟანიძის წერილს კითხულობთ, მიწერილს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან, აწ განსვენებულ **ვასილ ლომსაძესთან** – *„მუზეუმის თანამშრომლის – შალვა ივანიძის სახელზე მიღებულია აბასთუმნის სანატორიუმის საგზური. ღირებულების 30%-ი ე. ი. 227 მანეთი გადასახდელია, რისი საშუალებაც ივანიძეს არ აქვს.*

გთხოვთ, აღმოუჩინოთ დახმარება საგზურის გამოსყიდვაში, ან ნება დაგვრთოთ გავიღოთ ეს თანხა მუზეუმის ბიუჯეტის ეკონომიიდან...“

დიახ, დრო არ ივიწყებს საქმისთვის თავდადებულ ადამიანებს და არც დავით ლობჟანიძის უმწიკვლო საქმიანობა ყოფილა დავიწყებული. საილუსტრაციოდ გთავაზობთ 1943 წლის 9 თებერვალს მუზეუმის დამთვალიერებელთა მიერ გაკეთებულ ჩანაწერს: *„სამწუხაროა, რომ აქ აღარ დაგვხვდა ამ საუცხოო კულტურის კერის მომწყობი და ნიჭიერი ორგანიზატორი. თავისი საქმის ენთუზიასტი, განსვენებული დავით ლობჟანიძე. მისი ღვაწლი ამ საქმეში დაუვიწყარი იქნება!*

დაე, გაევლოს წლებს და მის მიერ დაფუძნებულ საქმეს კვლავ მასავით სუფთა სულის და მხურვალე გულის ხელმძღვანელები მოვლინებოდეს“... შთაბეჭდილებას ხელს აწერენ: **სიმონ ჩიქოვანი, ბესარიონ ჟღენტი, მარიჯანი, ნ. დოლაბერიძე** და **შ. მასხარაშვილი.**

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დაარსებიდან სულ მცირე ხანში, მუზეუმში საფუძველი ჩაეყარა ბევრ სასიკეთო საქმეს. ჯერ კიდევ 1938 წელს გეგმაში შეიტანეს სამცხე-ჯავახეთის ბიბლიოგრაფიის დამუშავება ცალკე წიგნად. აღნიშნულ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ საჯარო ბიბლოთეკის მაშინდელი ავტორიტეტული მუშაკები – **ვლადიმერ კახიანი** და **ნიკოლოზ აკერმანი.** აღნიშნულის გამო ისინი გახარებული წერენ დავით ლობჟანიძეს – *„ბატონი ნიკო ბერძენიშვილი დაგვთანხმდა, რათა ჩვენს ბიბლიოგრაფიას წინასიტყვაობა და რედაქცია გაუკეთოს, მანვე გვირჩია, თურქული და სომხური მასალების შედგენა მიენდოს უნივერსიტეტის ორ ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერს – ილია აბულაძესა და სერგი ჯიქიას. შრომა ფრიად სერიოზული და პატივსაცემი გამოდის. თვით ნიკო ბერძენიშვილი აღტაცებულია მასალის იმ სიმრავლით და მრავალმხრიობით, რომლის წარდგენაც ჩვენ შევძელით...“*

ამ და სხვა საარქივო თუ საფონდო დოკუმენტების გაცრეცილი ფურცლებიდან ვგებულობთ, თუ რა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ახალციხეში მუზეუმის ფორმირებამ, რომელმაც მტკიცე საყრდენი მოუმზადა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. ამ თვალსაზრისით მუზეუმთან საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს: **პ.ინგოროყვამ, ნ. ბერძენიშვილმა,ს. კაკაბაძემ, ნ.ღლონტმა, გ. ბოჭორიძემ, ალ. ბარამიძემ, დ. ყიფშიძემ ს. ჯიქიამ, ს. მაკალათიამ, ა. იოსელიანმა, ს. ბარნაველმა** და ა.შ.

ფეხით შემოიარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დიდმა ექვთიმე თაყაიშვილმა. ღრმად დააფიქრა მისმა წარსულმა ივანე ჯავახიშვილი. მათ, ერთად შეაღეს დიდი ხნით გამოკეტილი მესხური დარნის კარი და ამით, სინათლე მოჰფინეს ოსმალების მიერ განაწამები – უმშვენიერესი კუთხის ისტორიას... მათმა კვლევამ მრავალი თანამოაზრე შემატა სამესხეთოს და დღემდე ეს ტრადიცია მტკიცედაა დაცული.

ციური ლაფაჩი,
ისტორიის დოქტორი

(გაგრძელება იქნება)

თბილისური მეტყველება

ანა მელიქიძე





სპეციალისტები სალიტერატურო ენას სამწერლობო ენასაც უწოდებენ, რამდენადაც ამ ტერმინით უკეთაა ხაზგასმული სტანდარტიზებული ენის წერილობით ტრადიციასთან სავალდებულო კავშირი. არასპეციალისტები კი (მათ შორის, განათლებული საზოგადოებაც) ხშირად მცდარად უკავშირებენ სალიტერატურო ენის ცნებას გეოგრაფიულ ან ურბანულ მარკერს და აცხადებენ, რომ სალიტერატურო ენა ქალაქის, ძირითადად, დედაქალაქის, მეტყველებასთანაა ახლოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, ჩვენში, თვით სპეციალისტთა შორისაც, ჯერ კარგად არ არის გათავისებული თბილისის მეტყველების ერთ მთლიან თბილისურ დიალექტად ან ქალაქის სოციალურ დიალექტებად მოაზრების საკითხი, და ის, თუ სად უნდა მოექცეს დიალექტოლოგიურ რუკაზე თბილისის (ან მისი ცალკეული რაიონის თუ ცალკეული სოციალური ჯგუფის) მეტყველება.

ქართულ სინამდვილეში თბილისი საქართველოს სხვა ქალაქებისაგან განსხვავებულ სოციალურ სქემას ქმნის და ეს ასახულია კიდეც მეტყველებაში. ამას თავისი ახსნა აქვს: თბილისი ისტორიულად არის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, რომელიც ოდითგანვე ვითარდებოდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ შესაყარზე და მის ყოფაში აირეკლებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული და სამეტყველო თავისებურებანი. თუმცა, თანამედროვე გაგებით, ურბანული თავისებურებები თბილისმა ძირითადად XIX საუკუნიდან შეიძინა, როდესაც იგი უკვე აღარ წარმოადგენდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქს და რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი განაპირა პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრად იყო ქცეული. მოგვიანებით თბილისის სტატუსმა ისევ წინ წამოიწია.

ქალაქის მეტყველებაზე საუბრისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ტერმინთა შერჩევაა. კერძოდ, რა ტერმინებია მოსახერხებელი ქალაქის მეტყველების (ანუ ქალაქური დიალექტის) და მისი სახეების აღსანიშნავად. ქალაქებს საერთო ურბანულ ნიშნებთან ერთად თავისი ინდივიდუალური ხასიათიც გააჩნია, რაც სოციალური წარმოდგენების განსხვავებულობას იწვევს. სოციალური გემოვნება, კულტურული ტრადიცია, ელიტარული წრეების ეკონომიკური პრიორიტეტების განმსაზღვრელი საფუძვლების სპეციფიკა, გავრცელებული დარგები, ეკონომიკური, კულტურული, კრიმინალური დონე და სხვ. მნიშვნელოვნად განასხვავებს ერთმანეთისაგან არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებს, არამედ ერთი ქვეყნის ქალაქებსაც. ავიღოთ თუნდაც, ერთი მხრივ, თბილისის ელიტარული, პრივილეგირებული ინტელიგენციის მეტყველებაში აშკარად გამოხატული რუსული გამოთქმის (პრონონსის) მოძალება (დიფთონგების, „სირბილის ნიშნის“, მახვილის, კავკასიური მკვეთრების შერბილებისა თუ „მოევროპულების“ ტენდენცია და რუსული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ხშირი გამოყენება ქართულ მეტყველებაში 90-იან წლებამდე, ან ახალი თაობის ელიტარული ინტელიგენციის ინგლისური აქცენტის ან ლექსიკური ჩანართების გამოყენება საკუთარი პრიორიტეტულობის დასამტკიცებლად 1992 წლიდან დღემდე, ხოლო, მეორე მხრივ, ინგლისელი ან ამერიკელი ელიტარული ინტელიგენციის მისწრაფება, რომ თავისი პრიორიტეტულობა ინგლისურის კარგი ცოდნით დაამტკიცოს, ანუ მაღალი კლასის მაიდენტიფიცირებელ ნიშნად სწორედ სახელმწიფო ენის ზედმიწევნითი ცოდნა მიიჩნიოს.

ქალაქის მეტყველებითი მრავალფეროვნება ქვეყანათა გეოგრაფიული დიალექტების სიმრავლეს არ ჩამორჩება. ირვინგ ლევის ალენის სოლიდურ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქალაქის მეტყველებაში ძირითადად იმდენივე სამეტყველო ჯგუფი გამოიყოფა, რამდენიც – სოციალური ჯგუფი.

1880 წელს, მაშინდელი თბილისის შესახებ ოლივერ უორდროპი წერდა: „თბილისის მოსახლეობა 105.000. აქ ცხოვრობენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ რუსები (სამოქალაქო მოსამსახურეები და ჯარისკაცები), სომხები (ვაჭრები და მევახშეები), სპარსელები, თათრები, ცოტა ევროპელები, სახელდობრ, გერმანელები (კოლონისტები შვაბიიდან), ფრანგები (მკერავები, სასტუმროს მეპატრონეები) და სხვა“.

ძველი თბილისის თითოეულ უბანში ცხოვრობდა უპირატესად ერთი რომელიმე ეროვნების მოსახლეობა. ასეთი უბნები ჰქონდათ სპარსელებს, ებრაელებს, სომხებს და, ნაწილობრივ, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებსაც. ეს ტრადიციული განსახლების სურათი XIX საუკუნეშიც არსებობდა. ზოგი ასეთი უბანი სწორედ მაშინ შეიქმნა. სომეხი ბურჟუაზიის დიდი ნაწილი გასული საუკუნის შუა წლებიდან დამკვიდრდა სოლოლაკის მდიდრულ კვარტალში, ხოლო ამ ეროვნების ღარიბი ფენები, უპირატესად, ავლაბარში ცხოვრობდნენ.

ცხადია, დროთა განმავლობაში, თბილისის ტერიტორიაცა და მოსახლეობის რაოდენობაც მნიშვნელოვნად შეიცვალა.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის არაერთგვაროვნება და ბოლო დროის პოლიტიკური ძნელბედობით დედაქალაქისაკენ დაძრული დევნილი მოსახლეობის ნაკადები ქალაქის ენობრივ სიტუაციას სტაბილიზების საშუალებას არ აძლევს და ე.წ. თბილისური მეტყველების „გაფორმებას“ შეუძლებელს ხდის. უნდა ითქვას, რომ არცთუ შორეულ წარსულში, თბილისური მეტყველების თავისებურებები გაცილებით მკაფიოდ იყო გამოხატული.

თბილისი თანამედროვე ურბანული ნიშნების შეძენის შემდეგაც რჩებოდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარება-გავრცელების კერად და საქართველოს სხვადასხვა რეგიონისათვის სალიტერატურო ენის კულტურული ავტორიტეტის, პრესტიჟის განსახიერებად. თუმცა, მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, შეიმჩნეოდა ტენდენცია თბილისელობის გარკვეულ პრესტიჟულ სოციალურ კატეგორიად განხილვისა.

თბილისი ინტერნაციონალური ქალაქი იყო რუსეთის ბატონობის ხანაში, რასაც ხელი შეუწყო იმანაც, რომ მოსკოვისაგან მას ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრის როლიც დაეკისრა. არაქართველი მოსახლეობა ძირითადად კარგად იყო მორგებული რუსულ დიქტატს და უფრთხოდა ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას, ამიტომაც თბილისის არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი ლოიალურად შეხვდა კომუნისტურ დიქტატს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თბილისს მკაფიოდ დაეტყო ქართული მოსახლეობის მატება და ქალაქის მეტყველებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართულად მოლაპარაკეთა რიცხვი. თბილისი ქართული სალიტერატურო ენის განმტკიცების კერად იქცა თავისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კურსითაც და ქართული მოსახლეობის მატების მიზეზითაც.

ლევან ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ 600-ზე მეტი სიტყვაა, რომელთაც „ნამდვილ თბილისელთა“ მეტყველებაში მართლაც ყოველდღე ვისმენთ: „აზრზეა, ათესა, ავარდა, აუდო, „ამბავში პატივს გცემ“, აფუილებს, აფსიხება, დათირა, დაიბრიდა, დაიადა, იაზვობა, იბაირამა, თომარი გაუშვა, სვოი ბიჭი, სვიდო, სვეტობს, ტუფტა, ფუფლო, ფრაერი, ფირმა, ქეში, ქაჯი, ქსივი, შატალო (шататься), შანტრაბა (шантрапа -არამზადების ჯგრო), ჩერესჩურ, ჩერეზ ძმა, ჭკუა ეკეტება და სხვ.“ [ბრეგაძე].

„მდაბიური მეტყველების“ ძირითადი ტენდენციების შესახებ მსჯელობისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ მდაბიური მეტყველების ორთოეპიაზე. მართალია, მდაბიური მეტყველება თავისი ბგერითი თავისებურებებით უახლოვდება სალიტერატურო ენას, მაგრამ რიგი თავისებურების შემცველიცაა, რაც მას გამოჰყოფს განსაკუთრებულ ორთოეპიულ სისტემად. ესაა ზეპირი სასაუბრო ენა. მასში მეტია ფიზიოლოგიური ინერცია და ლიტერატურული ასოციაციებისაგან თავისუფლება. ამ ორთოეპიულ თავისებურებათაგან ზოგი ახასიათებს ბევრ დიალექტსაც. მაგრამ ისინი იმდენად საერთოა და არ ეწინააღმდეგება სალიტერატურო ენის ტენდენციებს, რომ შეიცნობა არა დიალექტებთან კავშირში. საუბრის ფორმები, სისწრაფე და წყვეტადობა აძლიერებს გამოთქმის ფიზიოლოგიურ ინერციას. ამას განეკუთვნება:

თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივება. მაგ.,.მაგრამ, მაგ/ამ; ვინაც/ უინაც; კარგად/ კარქა...

თანხმოვნის მოშორება: ძაან, კარგა და სხვ.;

მარცვალთა შემოკლება: გამაკეთებინა - გამაკეთინა, გაუუთოვა - გაუთოა; ზმნისწინებში: ჩაყვინთა - დაყვინთა, დაუბერა - გაუბერა...

დიალექტური აქცენტირება ლიტერატურული სიტყვებისა (ე! ევიშალოთ ახლა!)

ბგერის გადასმა (ბიზნესმენი\ ბიზმესმენი, რეანიმაცია-რეამინაცია);

განსაკუთრებით ხშირია ლექსიკის მნიშვნელობის ცვლა ქალაქურ ჟარგონში: ბნელები (ჩამორჩენილები)...

ხშირად იცვლება სიტყვის სტანდარტი და შესაბამისად ჩნდება ახალი მნიშვნელობაც ან მნიშვნელობითი ელფერი:

დაჯე (და არა: დაჯექი), ჩამოეთერი (და არა: ჩამოეთრიე), რო (და არა: რომ),

არავიზე (და არა: არავისზე), ჯობია (და არა: სჯობს ან უმჯობესია)...

ქალაქურობადაა მიჩნეული უცხო სიტყვების სპეციფიკური პრონონსით წარმოთქმა;

დღევანდელი „თბილისელობა“ სკაბრეზულობის მორგებასაც გულისხმობს;

70-80-იანელების ყველაზე დიდი „მონაპოვარი“ ზმნები „გატეხვა“ და „გასწორება“ არის. ეს სიტყვები ძალიან კონკრეტულ შემთხვევაში და ძალიან კონკრეტული განწყობით იხმარება. „გატეხვა“ მოდის რუსული ჟარგონიდან, „გასწორება“ კი ანალოგიით უნდა იყოს მიღებული.

ეს ფრაზები, გამოთქმები და პატარა-პატარა ისტორიები, რაც ქართულ ჟარგონებს უკავშირდება, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ალბათ დადგება დრო, როდესაც მომავალი თაობა ჩვენს დროში არსებულ ჟარგონებსაც „გამადიდებელი შუშით“ დააკვირდება.

ამ თემაზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ ცნობილი ქართველი პოეტის ნიკო გომელაურის ლექსი „ენა,მამული“, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეხება:

„სარეჩკა“, „ნასკი“,
„კრაოტი“, „პოლი“ –
მართლაც, რომ ქართველს
არა ჰყავს ტოლი.
„კუხნა“, „ბალკონი“,
„ზალა“, „პადვალი“,
– მითხარით ენა ამის ბადალი.
„პესოკი“, „სუმკა“,
„ტუფლი“, „იუბკა“.
„რომელი გოდა ხარ?“
– „თხუტმეტი სუტკა„
„მოვპარე სპიჩკა – მაქვს
ეს პრივიჩკა„–
„ლამპოჩკა“, „ჩაინიკი“,
„კრაოტი“, „სტოლი„
– ამბიცია ულევია,
ინტელექტი ნოლი.
„შოფერი“, „მატორი“,
პაკრიშკა“, „ლიჟები“,
– საბა და ილია – „იმენა“
გიჟები“.

საბრალო ქართული ენა! თუმცა, არა, საბრალო კი არა ყოჩაღი, მებრძოლი, გამტანი, სიცოცხლისუნარიანი!

შამქორის ბრძოლა

ჯაბა სამუშია

ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიაში შამქორის ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე დიდგორისა თუ ბასიანის ომებს. ეს გასაგებიცაა, რამეთუ, დიდგორმა მთელი ეპოქა შექმნა, ბასიანის ველზე კი ქართველებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. შამქორის ბრძოლა ამ ორ დიდ მოვლენას შორის ერთგვარად „დაიჩაგრა“ თუ „ჩაიკარგა“.

XII საუკუნის I ნახევრიდან, სამხრეთ აზერბაიჯანისა და არანის ტერიტორიაზე ელდი-გუზიანელთა დინასტიის მოთავეობით მძლავრი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა. ამ დინასტიის დამაარსებელმა შამს ად-დინ ელდიგუზმა ერაყზეც მოახერხა თავისი გავლენის გავრცელება. ელდიგუზიანელთა დინასტიის ყველაზე ცნობილმა წარმომადგენელმა ყიზილ-არსლანმა ჰამადანთან ბრძოლაში მოახერხა სელჩუკთა სასულთნოს გამგებლის თოღრულ III-ისა და მისი ძის მელიქ-შაქის დამარცხება და თავი ერაყის სულთნად გამოაცხადა. ელდიგუზიანელთა პოლიტიკური ამბიციები მარტო სამხრეთით არ იყო მიმართული, ისინი აქტიურად ერეოდნენ სამხრეთ კავკასიის _ საქართველო-შირვანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.



თამარის მეფობის დროს ათაბაგებსა და საქართველოს შორის პოლიტიკური კონფრონტაცია ახალ ფაზაში გადავიდა.

1191 წელს ყიზირ არსლანი მიგზავნილმა მკვლელმა გამოასალმა სიცოცხლეს. ერაყში, აზერბაიჯანსა და არანში გაბატონებისათვის ბრძოლა დაიწყო ყიზირ არსლანის ძმისშვილებმა. ამ დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოვიდა აბუ-ბექრი. 1192 წელს აბუ-ბექრმა თავრიზთან სასტიკად დაამარცხა თავისი ძმები ხუტლუ-ინანჯ მაჰმუდი და ამირ-ამირანი (ქართული წყაროების მიხედვით ამირ მირმანი). ხუტლუ-ინანჯი ხორეზმ-შაჰთან გაიქცა, ამირ-მირმანი კი შირვანშაჰთან.

აბუ-ბექრმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საქართველოს სამეფო კართან მტრული ურთიერთობა დაამყარა.

1194-1195 წწ. სამხრეთ კავკასიაში საქართველოსათვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვი-თარება შეიქმნა. აბუ-ბექრის მოწინააღმდეგე ამირ-მირმანმა, აშკარად, პროქართული ორიენტაცია დაიკავა. იგი დასაწყისში შირვანშაჰ აღსართან I-ს ეწვია. ამ უკანასკნელმა დევნილი უფლისწული დიდი პატივით მიიღო და თავის ქალიშვილზე დააქორწინა. შირვანში ათაბაგ აბუ-ბექრის მოწინააღმდეგე ბანაკი ჩამოყალიბდა. როგორც ჩანს, აღსართან I-სა და ამირ-მირმანის კოალიციამ, დასაწყისში, დამოუკიდებლად სცადა პოზიციების გამაგრება არანში, მაგრამ აბუ-ბექრის ღაშქარმა „ბელაყნის კარსა ზედა“ სასტიკად დაამარცხა ისინი. 1195 წლისათვის აღსართან I-მა და ამირ-მირმანმა გადაწყვიტა აბუ-ბექრის წინააღმდეგ საერთო კავკასიური კოალიციის შექმნის იდეა რეალობად ექციათ. მათ დახმარება და მოკავშირეობა თამარ მეფეს სთხოვეს. საქართველოს სამეფო კარიდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ აღსართანი და ამირ-მირმანი თბილისისაკენ გამოემგზავრნენ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს უცხო სტუმრების თამარის კარზე მიღებას. ქართველებმა, მართლაც, პომპეზური შეხვედრა გაუმართეს მათ.

1195 წლის მაისის შუა რიცხვებში სამეფო კარზე მოვიდა ცნობა, რომ აბუ-ბექრი უკვე არანში იყო. ქართველთა ღაშქარი საბრძოლველად მოემზადა. ქვემო ქართლში (მდი-ნარეების მტკვრის, ალგეთის, ქციისა და ქურდვაჭრის ნაპირებთან) დაბანაკებულ ჯარს თვით მეფე თამარი ეწვია. მან რამდენიმე დღე დაჰყო ღაშქართან „ლოცვისათჳს.“ მან მეომრებს სიტყვით მიმართა: „ძმანო, ჩვენო, ყოვლად ნუ შეძწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მათისათჳს და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენ თანა არს... მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდვენით და გულნი თქვენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქვეყანად მათდა შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით.“ აქედან თამარი თბილისში დაბრუნდა, სადაც ფეხშიშველი ავიდა მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში და ილოცა.

1095 წლის მაისის მიწურულს ქართველთა ღაშქარი შამქორ-განჯისაკენ გაემართა. გასა-ვლელი იყო დაახლოებით 140-150 კმ. ქართველები პირველად მდ. Eელეკეცის, ანუ ახლანდელი აღსტაფა-ჩაის ნაპირებთან დაბანაკდნენ. მეორე დღეს კი უკვე შამქორის ციხე-ქალაქის სიახლოვეს იყვნენ. მემატიანის თქმით, ეს იყო 1 ივნისი. ბრძოლა კი 2 ივნისს, პარასკევს მოხდა.

შამქორის ციხის სიახლოვეს დაბანაკებული ქართველები სამხედრო სამზადის შეუდგნენ. სარდლობამ სამხედრო გეგმის შემუშავება დაიწყო. დავით სოსლანის კარავში შეიკრიბნენ შირვანშაჰი აღსართანი და ამირ-მირმანი, ანტონი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ზაქარია და ივანე მხარგძელები, მანდატურთუხუცესი ჭიაბერი, ზაქარია ვარამის ძე მხარგრძელი, სარგის თმოგველი და სხვა დიდებულები. მოწინააღმდეგეს განლაგების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდა ქართველ მხედართმთავრებს. სურათი კი ასეთი იყო: აბუ-ბექრი მდ. შამქორის-წყლის მარჯვენა მხარეს იყო გადმოსული და აქ ელოდა საქართველოს მხედრობას. მტერი ისე იყო განლაგებული, რომ ფლანგებიდან მისი შეტევა გაჭირდებოდა, განსაკუთრებით მარ-ჯვენა ფლანგიდან, სადაც შამქორის ციხე-ქალაქი მდებარეობდა. შეტევისას იქმნებოდა საშიშროება ზურგიდან არ დაერტყათ ქართველებისათვის შამქორის ციხეში დაბანაკებულ აბუ-ბექრის ჯარის ნაწილებს.

ქართული არმიის სარდლობამ ზუსტად გათვალა აბუ-ბექრის გეგმები. ქართველები მიხვდნენ მოწინააღმდეგის სუსტ და ძლიერ მხარეებს. საქართველოს ჯარის სარდლობამ მტერს იქ უპოვა სუსტი წერტილი, სადაც ყველაზე ნაკლებ მოელოდა აბუ-ბექრი. ეს იყო შეტევის განხორციელება შამქორის ციხის მიმართულებით, ანუ მარჯვენა ფლანგიდან.

შამქორის მიმართულებიდან შეტევის განხორციელება იდეალური ვარიანტი იყო, ოღონდ ამას, როგორც აღინიშნა, ერთი წინააღმდეგობა ედგა წინ, საჭირო იყო ციხეში მყოფი აბუ-ბექრის მეომრების განეიტრალება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველთა ეს მანევრი შეიძლება სავალალოდ დასრულებულიყო თუ მუსლიმები მოახერხებდნენ დავითის ფრთის ზურგში მოქცევას. ბრძოლის დაგეგმვისას ზუსტად ეს დეტალი იყო მთავარი.

დავით სოსლანს ჯარი სამ ნაწილად უნდა გაეყო. ცენტრს და მარცხენა ფლანგს ევალებოდათ იერიშის მიტანა, მაგრამ მოწინააღმდეგეზე მძლავრი დარტყმა მარჯვენა ფრთიდან უნდა განხორციელებულიყო _ ქალაქ შამქორის მიმართულებით. ჯარის ძირითადი ნაწილი სწორედ მარჯვენა ფლანგზე იქნა დისლოცირებული, მაგრამ ეს არ იყო სტრატეგიის მთავარი შემადგენელი დეტალი. უპირველესი გახლდათ ის, რომ დავით სოსლანი ქალაქზე იერიშისას მოახდენდა ჯარის ძირითადი ნაწილის გამოყოფას და მარჯვნიდან აბუ-ბექრის ზურგში გაჭრას. მხოლოდ მარჯვენა ფრთის მეორე ნაწილი პარალელურად იერიშს მიიტანდა ციხეზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არ იქნებოდა იერიში პირდაპირი გაგებით. ამით ქართველი მეომრები გაანეიტრალებდნენ შამქორში მყოფ აბუ-ბექრის ჯარს, რომელიც იერიშზე გადასულ დავით სოსლანის მხედრობას ზურგიდან ვეღარ დაარტყამდნენ. სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ეს იყო ბრძოლის მართლაც, რომ, საუკეთესო გადაწყვეტა. მარჯვენა ფრთის ორ ნაწილად გაყოფა, შეიძლება მივიჩნიოთ გენიალურ სამხედრო მიგნებად.

გამთენიისას ჯარი ანტონ ჭყონდიდელმა დალოცა. მეომრებმა ილოცეს და საბრძოლო სამზადის შეუდგნენ. დავით სოსლანს თავისი უსაყვარლესი ცხენი მოართვეს. ზერდაგის ფერისა იყო იგი. ტანი და თავი ოქროსფერი ჰქონდა, კიდურების ქვედა ნაწილი, ფაფარი და კუდი კი შავი. ვახტანგ ხაჩენელისაგან ეყიდა ეს ცხენი დავითს და ბრძოლისას სწორედ მასზე ამხედრება ინება მეფემ. აღიჭურვნენ სარდლები და მეომრები. ქართველებმა ერთხმად შესძახეს „ღმერთი ჩვენ თანა არს“ და შეტევაზე გადავიდნენ. დავით სოსლანი მარჯვენა ფრთას სარდლობდა. მთავარი დარტყმაც აქედან უნდა წარმართულიყო. დავითის მხედრობა შამქორის ციხისაკენ დაიძრა, მაგრამ როგორც კი ქალაქის ციტადელს მიუახლოვდა ნიშანზე ქართველთა მარჯვენა ფრთა ორად გაიყო – მცირე ნაწილი ციხის ჩასაკეტად გაემართა, ხოლო მეორე ძირითადმა ნაწილმა, დავით სოსლანის სარდლობით, ქალაქი ხელმარცხნივ დატოვა და მდინარე შამქორისწყლის ნაპირებისაკენ გაიჭრა. სამხედრო გეგმის მიხეთვით, ქართველები მდ. შამქორ-ჩაის მარცხენა ნაპირის გავლით აბუ-ბექრის არმიის ზურგში უნდა შეჭრი-ლიყვნენ. დავით სოსლანის ამ მანევრმა საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ბრძოლა უკვე შენივთებული იყო, როდესაც აბუ-ბექრს მოახსენეს, რომ ქართველები ზურგში გამოჩნდნენ. ამას ნამდვილად არ ელოდა ათაბაგი. მუსლიმური არმია გაიფანტა. ყველა თავის გადარჩენას ცდილობდა. თურქი ისტორიკოსის სადრუდინ ალი ელ ჰუსეინი დაწვრილებით მოგვითხრობს შამქორის ომზე. აი, რას წერს იგი: „მასთან მყოფ (იგულისხმება აბუ ბექრი. ჯ.ს.) მეომართაგან ზოგი გაიქცა, ზოგი მკვდარი დაეცა მიწაზე. ებუ-ბექრს უნდოდა თავი დაენებებინა ომისთვის, მაგრამ ქართველთა და მუსლიმთა ჯარებმა მის ჯარებს ყოველი მხრიდან ალყა შემოარტყეს. ამის გამო მან ვერ შეძლო უკან დაბრუნება... ებუ-ბექრი მოკლულთა შორის ეგდო, ამ დროს მას ეცა მოსაკლავად მისი ძმის (იგულისხმება ამირ მირმანი ჯ.ს.) მონათაგანი, რომელიც მას იცნობდა. მაგრამ ებუ-ბექრმა ის იცნო და უთხრა: „მე ესა და ესა ვარო“. ამის შემდეგ მონა ცხენიდან ჩამოვიდა, ებუ-ბექრი ცხენზე შესვა, თვითონაც იქვე მყოფ ცხენს შეაჯდა და თან წაიყვანა. ვინც ეს დაინახა მათ იფიქრეს, რომ ის როგორც ტყვე მიჰყავდათ სულთანთან, ის კი ბრძოლის ველიდან გამოვიდა“. ამდენად, საქართველოს არმიას ალყაში მოუქცევია მუსლიმთა ძირითადი ძალები. ამასთანავე, ქართველებმა აბუ-ბექრის მეომართა დიდ ნაწილს უკან დახევის საშუალება მოუსპეს. ათაბაგი აბუ-ბექრი ჯერ და-ხოცილ მეომართა შორის დაიმალა, ხოლო შემდეგ ერთ-ერთმა მებრძოლმა ის ბრძოლის ველს გააცილა. ათაბაგი ჯერ განჯაში, ხოლო შემდეგ კი ბელაქანში წავიდა.

შამქორში მოპოვებული გამარჯვება სასწრაფოდ აცნობეს საქართველოს მეფეს თამარს. გამარჯვების ამბავი სარგის თმოგველმა ჩამოიტანა თბილისში.

გამარჯვების მეორე დღეს შამქორის ციხე-ქალაქი დანებდა დავით სოსლანს. რამდენიმე დღეში განჯაც ქართველთა კონტროლს დაექვემდებარა. აბუ-ბექრმა კი სამუდამოდ ხელი აიღო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაზე. ერთ დროს ამაყი და ძლევამოსილი ათაბაგი, იმდენად დათგუნა ამ მარცხმა, რომ გალოთდა კიდეც.

ასე ტრაგიკულად დასრულდა აბუ-ბექრის სამხედრო კამპანია შამქორში.

„მიეცი ნიჭსა გზა ფართო“!

დიდგორის გენი

„ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ, შეიძლება, ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს.”

ლადო ასათიანი

მითხრეს, სამშობლო არის დიადი,
მითხრეს, რომ მისი ვალი მაქვს მუდამ.
იყო დრო, როცა იდგა წყვდიადი,
როცა ზარები უღმერთოდ სდუმდა.
მასწავლეს ენა საკვირველისა
და შთამაგონეს რწმენა ურყევი.
ბედი, რომელიც ქართველთ ეღირსა,
დაუჯერებელ ამბებს გვიყვება.
მე დიდგორობა გენებში თან მსდევს,
დღეს თვით სიკვდილსაც აქვს ჩემი შიში,
და სიამაყით სავსე ვარ ცამდეს,
რომ უფლის ნებით ქართველად ვიშვი!

სამასმეერთე არაგველი

მე ვარ ქართველი – სავსე ხანძთით, სავსე ხახულით,
და ვარ უბრალო თბილისელი, თხუთმეტის მხოლოდ,
მაქვს ისტორია მსოფლიოში ჯერ არნახული,
კაცობრიობის დიდ ფერხულში ვასრულებ სოლოს!
თაობა ჩემი – ტკივილიც და ჩემი სვე-ბედიც,
ჩემი მოჭრილი მარჯვენა და დიდების ძალაც.
უკლარჯეთობა ივერიელთ ვინ შემოგვბედა?!
დაუძლურება საქართველოს ვინ დააბრალა?!
თუმცა უბრალო ქართველი ვარ, თხუთმეტის მხოლოდ,
სავსე ვარ ხანძთის, ხახულის და ოშკის დიდებით.
ურჯულოებო, ყველას ერთად მოგიღებთ ბოლოს,
– სამასმეერთე არაგველი ამას გპირდებით!

ოდა ქალს...

მშვენიერებავ, ტკბილხმოვანო,
ჩემო ქალღმერთო,
გულთამპყრობელო, სიყვარულით
მწვავს შენი ხილვა,
ეს მზეც, ეს მთვარეც,
ვარსკვლავეთიც შენთვის აენთო,
შენა ხარ ჩემი საოცნებო ფრთა _
თეთრი დილა!..
აღმაფრთოვანე, აღმაფრინე,
აღმავსე გზნებით,
შენ მზეთამზეო, უნახავო
მზეთაგან თუმცა,
მომეცი ნება, დაგილოცო
სავალი გზები,
ოღონდ მინატრე, შემოგწირავ
ქალთა მზევ, სულსაც!..

ბექა ზამთარაძე,
თბილისის 29-ე საჯარო სკოლის
მე-9 კლასის მოსწავლე

ოროველა

ლომა ნიკორას ჭირიმე,
დამითესავენ ყანასა,
ხოდაბუნს მასზე არ გავცვლი,–
დავძახებ ოროველასა.
თავზე დამესხეს ცა რისხვით,
სხივი ვერ ვნახო მზისამე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისამე.

სამამულო ომზე

გაგიწყრეს გამჩენი ღმერთი
ქერჩო, აზოვის ზღვისაო,
ვაჟკაცნი ბევრი იმსხვერპლე,
მზგავსნი ძელისა ჯვრისაო.
მათი ცოლშვილი მიბაძე,
ოცი წლის ობოლ-ქვრივსაო.

ცეცხლმან, წყალმან და ყინვამან,
მწარედ დაჭრილი გმინავან,
თვალებს მაგრა აცეცებენ,
მათი მშველელი ვინაა.
დაჭრილნი მიწას გორავენ,
ყველა სისხლით დაიცალა,
იტლერს გაუწყრეს გამჩენი, –
რაღა ჩვენზე მოიცალა.
შენც მალე გნახამ, იტლერო,
პირი გებრუნოს უკანა, –
მოგდევდნენ ჩვენი ჯარები,
იყარონ შენი ჯავრები, –
დაგთხარონ ორთავ თვალები
და გაქვავებდენ ქალები;
ჯავრით მას გეუბნებოდნენ:
– რა უყავ, ჩვენი ქმარები?!
არ იცი? ჩვენი გმირები,–
სტალინის გამოზრდილები,–
ავისთვის გიძლვნიან ავსა,
ბერლინს დაგანგრევენ თავსა.
ფეხშიშველა გავარდები,
ჩაცმას ვერ მოასწრებ ტანსა,
ქუჩა-ქუჩა იტანტალებ, –
ვის კარზე გასხიპავ ტყავსა!

მონღოლებზე

ახლა შენს მტერსა, ჩვენა ვართ,
დაგვეხვია მონღოლები,
უცხვირ-პირო, უწყალონი,
ფიცხი, ჯუჯა, მორგოლები.

***

განა ყველა ჩვენია,
რაც ღმერთს გაუჩენია;
ქვეყანაზე ერთი დრო
არვის არ დარჩენია.

ნუ ამაყობ

ნუ ამაყობ მეგობარო,
ნუ დადიხარ მაღლა მთებზე,
დრო დადგება, ძირს ჩამოხვალ,
სიტყვა ითქმის სწორედ შენზე.
ერთ ბაღშიგან რო ვერ შეხვალ,
– ნუ დადგები და ნუ უმზერ,
შურით კაცის გულს ვინ იგებს,
ბაღს რად უქცევ, რათ
დაუნგრევ.

სამამულო ომზე

სტალინს გაუმარჯოს,
იყოს ჯანმრთელი,
სიცოცხლე მიეცეს –
ორასი წელი.
ფაშისტებს მოჰკიდა
მარჯვენა ხელი,
ხალხებს შეუცვალა
სახეზე ფერი.
გაცოფდა, გაგიჟდა
მხეცი იტლერი,
დღეში განა ჰყოფნის
რვა კილო ქერი.
იმ დედის ძუძუებს
მე ვენაცვალე,–
სტალინი გაზარდა–
მფარველი ჩვენი.
ტანჯვისგან იხსნა
სულ ყველა ერი,
ახლა კი მოგვივა
სახეზე ფერი.
სტალინს ვენაცვალე,
მისი ჭირიმე,
მომცა მოსვენება,–
ტკბილი ძილი მე!
გამჩენმა აკურთხოს
სტალინის ხმალი,
ტანკი, ზარბაზანი,
ჰაეროპლანი.
სტალინსა ჰფარავდეს
ღვთისა ძალია,–
მალე მოგვაშორა
წუწკი ძაღლია!

ადიგენის რაიონი სოფელი უდე, გადმოსცა ვანო გრიგოლის ძე ობოლაშვილმა, 81 წლის. ჩაიწერა გ.გ. ასატუროვმა 18.08.1948 წელი. ფოლკლორის ეროვნული ცენტრი, N2500

სოფელი ხიზაბავრაში მოსმენილი ანდაზები და გამონათქვამები

წადი წყალო და მორწყე კუროსთავი.

-- კუროსთავის ბაღები ხიზაბავრიდან 3–4 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. მტკვრის ნაპირზე, ამ ბაღებში სოფლიდან სარწყავი წყლის არხი არ ჰქონდათ გაყვანილი და ამიტომ ამ გამონათქვამს ხალხი ამბობდა იმ შემთხვევაში, როცა რაიმე საქმიდან არაფერი არ გამოდიოდა, ან ვინმე ფუჭ დაპირებას იძლეოდა, რომელსაც აღსრულება არ ეწერა.

დღეს ძაღლებს მარილი ვაჭამე.

– ყველა შრომობდა, უშრომელად არც ერთ დღეს არ ატარებდნენ, როდესაც კაცი რაიმე მიზეზით საქმეს ვერ გააკეთებდა და იმ დღეს უსაქმოდ დაალამებდა, მაშინ ამბობდნენ ამ გამონათქვამს.

შიმშილი თუ გინდა - აჭარაში წადიო.

– სოფელში ჭირდა თავის გატანა, ხალხი გარე სამუშაოზე მიდიოდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, სოფლიდან გასული ადამიანები განსაკუთრეებით აჭარაში ვერ საქმდებოდნენ, რადგან იქ უფრო ჭარბი მუშა-ხელი იყო, ამიტომ არსებობდა ასეთი გამონათქვამი.

ააფრინე ალალიო, რაც არ არი არ არიო.

– ამას ამბობდნენ კაცზე, რომელიც მრავალი ცდის შედეგად ჭკუას ვერ სწავლობდა და ერთი და იგივე შეცდომას სისტემატურად უშვებდა.

ჭამამ რა მიყო, რომ ლოკვამ რა მიყოსო.

– ამას ამბობდნენ მაშინ, როცა ცოტა საქმე დარჩებოდათ, – მიდი, ეგეც მოვრჩეთ, ცოტაღა დარჩაო'.

მარტში დათესილი ქერი შემოდგომით ცხენმა კბილით გამოიცნოო.

– ბუნებრივი პირობების გამო, სოფელ ხიზაბავრაში საგაზაფხულო კულტურების თესვა ძირითადად აპრილში მიმდინარეობდა. მეურნეს, რომელიც დროს არ კარგავდა და ადრე დათესავდა (მარტში) ამ სიტყვებით საქმიანობას შეუქებდნენ ხოლმე.

ხელით გასახსნელს, კბილით გასახსნელად რატომ აქცევო?

– ამას ეტყოდნენ პირს, რომელიც ადვილად გადასაწყვეტ საქმეს, დაშვებული შეცდომის გამო, პრობლემად აქცევდა.

მიდი მაზაცა – მოდი ყაზაცა.

– ხიზაბავრაში ხშირად ქორწინდებოდნენ მაზაშვილების გვარის წარმომადგენლები ყაზაშვილების გვარის გოგოზე, ან ბიჭზე, ეს გამონათქვამიც აქედან წარმოიშვა. ასევე იმაზეც იტყოდნენ, ვისაც შორიდან (სხვა სოფლიდან) არ ყავდა ცოლი მოყვანილი, სოფელში სხვა გვარისანიც რომ ყოფილიყვნენ დაქორწინებულნი, მაშინაც ამბობდნენ ხოლმე.

მჩატე თავი ფეხებს ამძიმებსო.

– ხშირად სულელ კაცზე იტყოდნენ ხოლმე.

მთქმელი ლევან ხუციშვილი, 87 წლის, სოფელი ხიზაბავრა, ჩაიწერა კარლო ხუციშვილმა 2010 წლის 8 იანვარს.

გამოცანები

*

ავილე და დაგადევი, აქეთ იქით
ჩამოგკიდე,
მშრალი შეგიდე და სოველი
გამოვილე.
(უნაგირი და ლაგამი)

ჩაწერილი ს.ხიზაბავრაში ალექსი ტატურაშვილისაგან, ჩაიწერა სანდრო ყაზაიშვილმა, 1930-იანი წლები
თბილისის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი.
ფაა 5566

*

ორი თავი აქვს, ექვსი ფეხი აქვს,
წელზე კუდი აბია.
(სასწორი)

გაგონილი იქვე პავლე კალაიჯიშვილისაგან, 35 წლის, ჩაწერილია მის მიერვე
ფაა 5567

*

ერთი ალვი ხეზე 12 ფურცელი აბია,
ცვივა, ცვივა და ისევ თორმეტი აბია.
(წელიწადი)

მისივე
ფაა5569

*

ორმოცმა ჩიტმა, თორმეტმა კაკაბმა
ერთი კვერცხი დადეს.
(წელიწადი)

გაგონილი იქვე იაკობ მექოშვილისაგან, 35 წლის, ჩაწერილია მის მიერვე.
ფაა 5570

*

ძაღლი წევს და კუდი რონავს.
(ჯარა)

მისივე. ფაა 5572

*

სულიერი სცემს უსულოს, უსულო
ღრიალებს.
(ზარი)

მისივე. ფაა 5574

*

ორნი არიან, ტოლნი არიან, გზასა
მიდიან, მიიმღერიან.
(ბორბლები)

გაგონილი ს.ხიზაბავრაში ბ.პაპაშვილისაგან, 28 წლის, ჩაწერილია მის მიერვე.
ფაა 5575

*

კაცმა თქვა და ღმერთმა ბრძანა,
დევს დავადგი უნაგირი,
არცა უნდა თივა, ქერი,
არცა უნდა ლაგამ-კურტანი.
(წყალი და ხიდი)

მისივე. ფაა 5576

პეტრეს სარდაფი

შეგჭამს მგელი!

ჩემს ბავშვობაში, მეზობლად, ცნობილი მონადირე, „თათარი ასლანა“ ცხოვრობდა. მტაცებელი ცხოველების რისხვა იყო, რაზე არ ნადირობდა – დათვზე, მელაზე, ფოცხვერზე...

მახსოვს, ერთხელ, ხაფანგით დაჭერილი მგელიც ჩამოიყვანა ურმით, სოფლის წყაროსთან. მთელი სოფელი მოგროვდა მგლის სანახავად. საშინელი სანახავი იყო პირში პალოგაჩრილი, ბაწრებით გაკოჭილი მგლის ნახვა, – შიშით დავყურებდით.

გვიკვირდა, როგორ შეძლო ასლანამ მისი დაჭერა. როგორც ლომ-ვეფხვზე მებრძოლი ტარიელი, ისეთ გმირად შევრაცხეთ მაშინ იგი, თუმცა, ხალხის მიმართ ასლანა ცხოვრებაშიც ისეთივე დაუნდობელი იყო, როგორც ნადირთა მიმართ – იგი ხშირად ჩხუბობდა ცოლთანაც, შვილებთანაც, მეზობლებთანაც, ამიტომაც დაარქვეს „თათარი ასლანა“.

ერთ დღეს, საქმეზე მისულ კოლმეურნეობის ბრიგადირს, თოფით გამოუვარდა. ატყდა ერთი გაწევ-გამოწევა. ბოლოს, საქმე იმით დამთავრდა, რომ ტყვია-წამალი და თოფი ჩამოართვეს.

თვეზე მეტი უთოფოდ დადიოდა, ბოლოს, გულმა აღარ მოუთმინა და გადაწყვიტა, რადგაც არ უნდა დასჯდომოდა, უკან დაებრუნებინა.

წერა-კითხვის უცოდინარმა ასლანამ მეზობლის ბავშვს სთხოვა, რაიკომის მდივნის სახელზე განცხადების დაწერა და, მეორე დღეს, მოწიწებით შეაღო პირველი მდივნის კაბინეტის კარი და განცხადება მაგიდაზე დაუდო.

მდივანმა თავაზიანად მოიკითხა ასლანა და მისვლის მიზეზი ჰკითხა:

– ყველაფერი ჩემს განცხადებაში წერია, ისიდოროვიჩ!

მდივანმა გულისყურით ჩაიკითხა ბატიფეხურით დაწერილი განცხადება და მისმა სიცილმა გააოგნა ასლანა.

– შენ დაწერე ეს განცხადება? – ჰკითხა მდივანმა.

– დიახ, მე დავწერე!

– აბა, წამიკითხე.

ასლანამ განცხადება წაღმაუკუღმა გადაატრიალა, სირცხვილით სახეაწითლებულმა, დამნაშავე ბავშვივით, ძლივს ამოღერღა:

– წერა-კითხვა არ ვიცი, მეზობლის ბავშვს დავაწერინე, ისიდოროვიჩ!

რაც შეეხება განცხადებას, შიგ ასეთი რამ ეწერა:

– „ რაიკომის მდივანო,
დამიბრუნე ჩემი თოფი, თუ არა და, მოვა მგელი და შეგჭამს“!..

მხიარულ გუნებაზე მყოფმა მდივანმა მაშინვე მილიციის უფროსს დაურეკა.

მალე ასლანას თოფი დაუბრუნეს. რა ეწერა განცხადებაში, „თათარ ასლანასათვის“ არ გაუმხელიათ, კაბინეტიდან გამოსული კი რაიკომის მდივნისა და მეზობლის ბავშვის ლოცვა-კურთხევაში იყო: – „ისეთი განცხადება დამიწერა იმ ბავშვმა, ქვას გახეთქავდა, მდივანიც გაახალისა და კარგადაც გამომაცილაო!.

რობერტ ბერიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: **www.scri.co; fcook:** ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თბილისში გაზეთ „-ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „-თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „-საქპრესის“ ჯიხურებში

[illegible]

კომპიუტერული
უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

[illegible]

5[illegible]
lit.meskheti@gmail.com
[illegible]